140/3
1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

8
აგვისტო
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარათი ზღვიდან

ზაფხულია...
უჩვენოდ მოწყენილან მერხები,
მოწყენილან წიგნები,
მოწყენილან ჩანთები, —
ჩვენ კი ზღვაზე ვისვენებთ,
გვალხენს ტალღის შხეფები,
ზღვის ზვირთებში ვბანაობთ,
ვჯანსაღდებით, ვშავდებით.

ზღვა ცასავით ვრცელია,
ზღვა ცისფერი წყალია,
ზღვა, როდესაც წყნარია,
გვიხარია ძალიან,
თავისთავად ზღვამ რა ჰქნას,
ზღვა მტრედივით წყნარია,
ზღვა ხანდახან თუ ღელავს,
სულ ქარიშხლის ბრალია.

ჩვენო სკოლის შენობავ,
ჩვენო კარგო მერხებო,
ნუ მოიწყენთ უჩვენოთ,
მალე დაგიბრუნდებით;
ზღვაზე გაკაჟებულნი,
ზღვაზე გაშავებულნი,
ვასახელებთ სამშობლოს
კარგი სწავლით, ხუთებით.

**მუხრან მაჭავარიანი**

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



ეროვნული ბიბლიოთეკა


# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 8
აგვისტო, 1953 წ.
წელიწადი XXVII


6604



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

# დიადი, ბრძენი, მზრუნველი...

მოსკოვში ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში მინის ქვეშ დევს პატარა წითელი წიგნაკი — პარტიული ბილეთი № 1. ეს პირველი ბილეთი — ნიშანი კომუნისტების დიადი პარტიის წევრობისა — მიეცა ჩვენი ქვეყნის პირველ კომუნისტს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფუძემდებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს.

ნახევარი საუკუნის წინ მეფის რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, სადაც მემამულეები და კაპიტალისტები ბატონობდნენ. გაჭირვებით, უსიხარულოდ ცხოვრობდა ხალხი. მუშები და გლეხები სულ უფრო გაბედულად ილაშქრებდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად. მაგრამ რუსეთში იმ დროს არ არსებობდა ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო გაეერთიანებინა მშრომელები, დაერაზმა რუსეთის მუშათა კლასი და გასძღოლოდა მას ექსპლოატატორების წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში.

ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ ვ. ი. ლენინი წერდა: „... მოგვეცით ჩვენ რევოლუციონერთა ორგანიზაცია და ჩვენ გადავატრიალებთ რუსეთს!“ სწორედ რევოლუციონერთა ასეთი ორგანიზაცია — კომუნისტური პარტია — შექმნა ვლადიმერ ილიჩმა იმ დროის ყველაზე საუკეთესო და მუშათა კლასის საქმისადმი ერთგული ადამიანებისაგან.

ვ. ი. ლენინმა, მიჰყვებოდა რა მარქსისა და ენგელსის დიად მოძღვრებას — მარქსიზმს, დაწერა ბევრი ბრძნული წიგნი ხალხის შესახებ, პარტიის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ მშრომელთა ცხოვრება ბედნიერი.

ლენინის ხელმძღვანელობით, მისი უაღრესად მხურვალე მონაწილეობით იქმნებოდა, იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა, მტკიცდებოდა მტრებთან ბრძოლაში ჩვენი დიადი პარტია.

1903 წლის 30 ივლისს გაიხსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) მეორე ყრილობა. ამ ყრილობამ დასაბამი მისცა მუშათა კლასის მებრძოლ მარქსისტულ პარტიას. ყრილობის გახსნის დღე არის ბოლშევიკების პარტიის დაბადების დღე.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტურმა პარტიამ განვლო გმირული ბრძოლების, მძიმე განსაცდელთა და შესანიშნავ გამარჯვებათა სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი გზა.

მიმოიხედე ირგვლივ, ჩვენო მკითხველო!

ყოველივე დიადი და შესანიშნავი, რაც განხორციელებული და მოპოვებულია საბჭოთა ადამიანების მიერ მათს ბრძოლაში კომუნიზმისათვის, ჩვენი სამშობლოს გაფურჩქვნისათვის, შენი სასიხარულო ბავშვობისათვის, დაკავშირებულია პარტიასთან.

ეს პარტიამ უზრუნველჰყო თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით რუსეთის მშრომელთა გამარჯვება 1917 წლის ოქტომბერში და ფართო გზები გაუხსნა ადამიანს მომავლისაკენ.

პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ლენინის, მისი მოწაფის დიდი სტალინისა და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობითაა აშენებული ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

პარტიის ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო ჩვენი სამშობლოს გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

პარტიას უნდა უმადლოდეს საბჭოთა ხალხი თავისი შთაგონებული შრომისათვის ომისშემდგომ ხუთწლედში, საბჭოთა მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების გაფურჩქვნისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ბედნიერებისათვის, ჩვენი წინსვლისათვის კომუნიზმისაკენ.

ჩვენი პარტიის მთელი ორმოცდაათი წლის გზა — ესაა ხალხისათვის უანგარო მსახურების გზა. აი რატომაა, რომ საბჭოთა ადამიანებს მხურვალედ უყვართ თავიანთი მშობლიური პარტია, სჯერათ მისი, დაუღალავად მიჰყვებიან მას. ჩვენი პარტიიდან იღებენ მაგალითს, ჩვენი პარტიისაგან სწავლობენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები.

პარტიული ბილეთი! მას ამჟამად თავიანთ მკერდზე ატარებენ მილიონობით საბჭოთა ადამიანები — ლენინელები, კრისტალური პატიოსნების ადამიანები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ჩვენი სოციალისტური სამშობლოსი, ჩვენი ხალხისა. მათი სახელია — კომუნისტები, საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის წევრები.

მათგან ისწავლე, ნორჩო ლენინელო, შენი სამშობლოს, შენი ხალხის სიყვარული.

(„პიონერსკაია პრავდა“)



ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში 1922 წელს.

# ისტორიული ყრილობა

ორმოცდაათი წლის წინათ, 1903 წლის 30 ივლისს, შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა. იგი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, მთელი მსოფლიოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ამ ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის პროლეტარულ პარტიას — ბოლშევიკურ, კომუნისტურ პარტიას, რომლის დამაარსებელიც იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

მეორე ყრილობა შეიკრიბა ისეთ დროს, როდესაც რუსეთში სწრაფად იზრდებოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობა. კატორღული შრომით, ჯარიმებით, უმუშევრობით, ცხოვრების მძიმე პირობებით უკიდურესობამდე მიყვანილი, პოლიცჲელებისა და ჟანდარმების მიერ დევნილი მუშები გაბედულად იწყებდნენ რევოლუციურ ბრძოლას. პეტერბურგში, მოსკოვში, ბათუმში, ბაქოში და სხვა სამრეწველო ქალაქებში ეწყობოდა გაფიცვები, კრებები და დემონსტრაციები. ხალხი ხარბად უსმენდა ორატორებს, შეკრებილთა თავზე დაფრენდნენ ასროლილ პროკლამაციათა ფურცლები. მუშების გავლენით მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოდიოდნენ გლეხებიც. ვერც კაზაკების მათრახები, ვერც თოფის სროლა, ვერც დაპატიმრება და გადასახლება ვერ აშინებდა

ხალხს. მოთმინების ფიალა აივსო. ჰაერში იკრიბებოდნენ ღრუბლები — რევოლუციური ქარიშხლის წინამორბედნი.

ამ პირობებში საჭირო იყო პარტია, რომელიც მეთაურობას გაუწევდა მუშათა მოძრაობას, გაუძღვებოდა მას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის სწორი, გაბედული გზით, გამარჯვებული მუშათა კლასის ძალაუფლების — პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. ასეთი რევოლუციური, პროლეტარული პარტიის ჩანასახს წარმოადგენდა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, შექმნილი ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წელს პეტერბურგში.

1898 წელს მოხდა პირველი ცდა დაქსაქსული ადგილობრივი მარქსისტული ორგანიზაციების ერთ მთლიან პარტიად გაერთიანებისა, — მინსკში შეიკრიბა რსდმპ I ყრილობა. ლენინი მას არ დასწრებია, იმ დროს იგი გადასახლებაში იმყოფებოდა ციმბირში. ყრილობაზე მიღებული არ ყოფილა არც პროგრამა, არც წესდება, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრები, არჩეულნი ყრილობაზე, მალე დააპატიმრეს. ადგილობრივი ორგანიზაციები კვლავინდებურად დაქსაქსულნი დარჩნენ.

ამავე დროს მუშათა მოძრაობაში სულ უფრო ვრცელდებოდა „ეკონომიზმი“. რუს სოციალ-დემოკრატებს შორის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მუშებს სრულიადაც არ სჭირდებათ თავიანთი პარტია, არ სჭირდებათ ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის დამხობისათვის, კაპიტალიზმის მოსპობისათვის. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მუშებმა უნდა აწარმოონ ბრძოლა ქარხნების მეპატრონეებთან მხოლოდ ცხოვრების ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად, „შაურიანისათვის“, როგორც მაშინ ამბობდნენ. ამ ადამიანებს „ეკონომისტებს“ უწოდებდნენ.

ვ. ი. ლენინმა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ გააჩაღა გადამწყვეტი, შეურიგებელი ბრძოლა იმიტომ რომ, მხოლოდ მათი განადგურების შემდეგ შეიძლებოდა ერთიანი მარქსისტული პარტიის შექმნა.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ასეთი პარტიის შექმნის გეგმა. მას საჭიროდ მიაჩნდა საქმის დაწყება საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოცემით, რომ იგი თავის გარშემო დარაზმავდა პარტიულ კადრებს, ადგილობრივ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს. ასეთ გაზეთს წარმოადგენდა „ისკრა“. პირველი მისი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 24 დეკემბერს. სათაურის გვერდით იყო ეპიგრაფი: „ნაპერწკლიდან ალი აინთება“ — სიტყვები, მეფის მთავრობის მიერ ციმბირში გადასახლებული დეკაბრისტების საპასუხო წერილიდან ა. ს. პუშკინისადმი. და მართლაც, ლენინის მიერ დანთებული ნაპერწკლიდან აინთო რევოლუციური ალი, რომელშიც სულერთიანად დაიწვა ძველი, თვითმპყრობელური რუსეთი.

„ისკრას“ რედაქცია მოთავსებული იყო ჯერ მიუნხენში, შემდეგ ლონდონში, ჟენევაში. გადამცემი პუნქტების მეშვეობით „ისკრა“ ფარულად იგზავნებოდა რუსეთში არალეგალური ლიტერატურის საწყობებში. იგი მრავლდებოდა აგრეთვე არალეგალურ სტამბებში.

ვ. ი. ლენინი ხშირად წერდა „ისკრაში“. იგი ანადგურებდა „ეკონომისტებს“, ამხელდა მათ ნამდვილ სახეს, მუშათა მოძრაობის მტრების სახეს.

ვ. ი. ლენინის ათი წლის ტიტანურმა ბრძოლამ ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, მის მიერ რედაქტირებულმა „ისკრამ“, მისმა წიგნმა „რა ვაკეთოთ?“ მოამზადეს ყველა პირობა ყრილობის მოსაწვევად და პარტიის შესაქმნელად.

მეორე ყრილობა შეიკრიბა ფარულად ბელგიის დედაქალაქ — ბრიუსელში. როდესაც პოლიციამ დელეგატებს წინადადება მისცა დაეტოვებინათ ბელგია, ისინი ლონდონში გადავიდნენ.

ყრილობაზე უნდა შექმნილიყო რუსეთის პროლეტარიატის ერთიანი პარტია, უნდა მიეღოთ პროგრამა და წესდება, აერჩიათ ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები.

26 ადგილობრივი ორგანიზაციიდან ჩამოვიდა 43 დელეგატი. ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო. აქ ესწრებოდნენ ლენინური „ისკრის“ მომხრეებიც და მისი მოწინააღმდეგეებიც. ისკრელები უმრავლესობას შეადგენდნენ, მაგრამ ყველა ისინი როდი იყვნენ ნამდვილი ლენინელები.

ყრილობა გრძელდებოდა სამ კვირას, სამი კვირის განმავლობაში ლენინი და ისკრელები სასტიკად ებრძოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. ამ ხნის განმავლობაში ლენინი ასზე მეტჯერ გამოვიდა სიტყვით.

მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა, ლენინისა და მისი მომხრეების უდიდესი გამარჯვება მდგომარეობს იმაში, რომ ყრილობამ შექმნა ნამდვილი მარქსისტული პარტია და მიღებულ იქნა პარტიის პროგრამა, შემუშავებული ლენინური „ისკრის“ მიერ.

განსაკუთრებით მწვავე დავა გაჩაღდა წესდების პირველი პარაგრაფის გამო: ვინ შეიძლება იყოს პარტიის წევრი.

ლენინელთა მტრები ამტკიცებდნენ, რომ თვითეულს შეუძლია თავისი თავი თვითონ ჩარიცხოს პარტიაში, რომ პარტიის დისციპლინისადმი დამორჩილება სავალდებულო არ არის.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ პარტია — ეს პროლეტარიატის მებრძოლი, დისციპლინირებული ორგანიზაციაა. ამიტომ პარტიის ყოველი წევრი ვალდებულია შედიოდეს მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში და მუშაობდეს მასში. „ჩვენი ამოცანაა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა...“

ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების დროს ლენინის მომხრეებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს. იმ დროიდან ლენინელებს უწოდეს ბოლშევიკები, ხოლო მათ მტრებს კი — მენშევიკები.

ასე იშვა დიადი კომუნისტური პარტია. ვ. ი. ლენინის მიერ ორმოცდაათი წლის წინათ შექმნილმა, ჩვენმა მშობლიურმა პარტიამ განვლო ბრძოლებისა და გამარჯვებების სახელოვანი და გმირული გზა. დიდი ლენინის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული პარტიის მთელ ისტორიასთან. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებისა და ამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაბატონებული რეაქციისა და ტერორის წლების განვლით, მძლავრი რევოლუციური აღმავლობისა და პირველი იმპერიალისტური ომის მძიმე წლების განვლით პარტიამ მიიყვანა მთელი ჩვენი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც გამოწრთობილია ბრძოლებში გენიალური ლენინის ხელმძღვანელობით, ლენინის მოწაფისა და საქმის გამგრძობის დიდი სტალინისა და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით, უზრუნველჰყო სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენს ქვეყანაში და იგი მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს წინ, კომუნიზმისაკენ.

ფ. ბელოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბ ა ნ ა კ შ ი

თენდება.
შინდისფრად ენთება აისი,
ფეხზე წამოშლილა ბანაკი...
დაფდაფის, საყვირის,
სიმღერის ხმა ისმის—
გაღმიდან პასუხობს ჭალაკი.

ანძაზე აცურდა ალამი პაწია,
უმალვე მიაგნო ნიავმა;
ფრთა გაპკრა, გაშალა,
კვლავ ტყისკენ გასწია,
ბავშვების სიმღერა ეამა.

ფრიალებს ანძაზე წითელი ალამი,
ტყისაკენ ალერსით გვაცილებს,
ბურთით და ჭადრაკით,
წიგნით და საკრავით
მხარდამხარ მიმავალ ყმაწვილებს.

მაყვალა მრევლიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ. გ. თოთიბაძისა

მურმან ლებანიძე

# გრიცკო*

## თავი მეორე

ყველას, ვინც ოდესლაც პიონერი იყო და ახლა დიდია, კარგად ახსოვს, თუ რარიგ ძნელი იყო ასჯერ და ათასჯერ ნაოცნებარის, განხორციელებულად ჩათვლილის და წინასწარ ნაზეიმევი საქმის უეცარი ჩაშლა. გრიცკო და საშკო არ იყვნენ ისეთი ბიჭები, რომ თავიანთი საქმე უკვე ჩაშლილად ჩაეთვალათ, მაგრამ შეუძლებელია გულგატეხილი არ ყოფილიყვნენ ერთი გარემოებით: საკმარისი იყო ახალი კახოვკის მთავარ აგრონომს, რომელიც ვინ იცის რა ახირებული გემოვნების კაცი გამოდგებოდა, უარი ეთქვა არყის ხესა და ნეკერჩხალზე — და ყველაფერი გათავდებოდა.

სწორედ ამის ფიქრში იყვნენ ყმაწვილები მთელს გზაზე და გემბანიდან, რომელიც გზადაგზა თანდათან უფრო მეტად იჭედებოდა მხიარული, მოყაყანე, ათასგვარ თემაზე მოსაუბრე ხალხით, დნეპრის მარჯვენა სანაპიროს გასცქეროდნენ. სანაპირო იყო ოდნავ შემაღლებული: წყალში — ლერწმიანი, ნაპირ-ნაპირ ბუჩქნარიანი. ალაგ-ალაგ გრძელი ჭალაც ჩაუვლიდა ხოლმე გემბანს, ოღონდ თეთრი არყისა კი არა, უფრო ხშირად ძეწნისა და მურყანის. იმას იქით კი... სტეპები და სტეპები დაუსრულებლად. დრო და დრო გამოჩნდებოდნენ სტანიცები ან დნეპრისპირ გამომდგარი დამხმარე მეურნეობები: ხუტორები, ფერმები... გემი ოთხჯერ-ხუთჯერ, რამდენიმე წუთით მიადგა ნაპირს, და თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი, სადაც ის შეჩერდა, დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. პირველ საათზე მორიგე მეზღვაურმა გამოაცხადა, გემი ახალ კახოვკას უახლოვდებაო, და ბიჭები, იმის მიხედვით, რომ კაიუტებიდან ხალხი მარჯვენა გემბანზე ამოიშალა და არა მარცხენაზე, უმალ მისვდნენ — ახალი კახოვკაც დნეპრის მარჯვენა ნაპირზე უნდა ყოფილიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ გემმა ერთი-ორჯერ ხმამაღლა შეჰყვირა და ნელნელა მიუახლოვდა ნაპირს, სადაც უცნაური, ყვითელი ქვით დატვირთული ორი გრძელი კარჭაპი ჩამომდგარიყო. არსად ჩანდა ნავსადგური. ჯერჯერობით რიგიანი მისადგომიც არა ჰქონდა ქალაქს. ქალაქი კი, რამდენიც არ ათვალიერეს ბიჭებმა, საერთოდ არსად იყო. გემბანიდან მოჩანდა, მართალია, დიდი და ლამაზი, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე დამთავრებული შენობა. მრავლად ჩანდა პაწია კოტეჯი და მუშათა საცხოვრებელი დროებითი ფიცრული. სამაგიეროდ ლამის ხუთ კილომეტრზე გაჭიმულიყო დნეპრის გასწვრივ ხარაჩოებში ჩამდგარი ქალაქის ფასადი. ბოლავდა კირი და ცემენტი. უნაბისფრად ენთო უზარმაზარ კუბებად დაწყობილი, გამდნარი თოვლით დასველებული ახალი აგური... დაგრუხუნებდნენ ტალახიან გზებზე ხე-ტყით დატვირთული სატვირთო მანქანები.

გემი გაჩერდა ნაპირიდან ორმოციოდე მეტრზე და კარგახანს უცდიდა კარჭაპების გადატვირთვას. გრიცკოს და საშკოს გული გადაელიათ ლოდინით, ეს დალოცვილი მუშები

*დასასრული. იხ. ჟურნ. „პიონერი" № 7.

კი, რომლებიც კარჭაპიდან ნაპირისკენ გადებულ ფიცრებზე გამწკრივებულიყვნენ, არ ჩქარობდნენ: საშენ ქვას ნაპირზე კი არ ყრიდნენ, ფრთხილად, მოწიწებით აწვდიდნენ ერთმანეთს.

ბოლოს კარჭაპები განთავისუფლდნენ და გზა უტიეს გემს. გემი მიადგა ნაპირს და მგზავრები იმავე გრძელი ფიცრების საშუალებით, რომლებზეც წელან მტვირთავი მუშები იდგნენ, ნაპირზე გადავიდნენ. გემი დაიცალა, შემდეგ ათუხთუხდა, აგუგუნდა და ძველი კახოვკისაკენ გაემართა.

ქალაქის მთავარ გზაზე რომ გამოვიდნენ, მგზავრები გაიფანტ-გამოიფანტნენ; ყველამ თავის საქმეს მიაშურა, გრიცკო და საშკო კი მარტო დარჩნენ დიდ, სამსართულიან ვარდისფერ შენობასთან და გეგმის დასაწყობად იქვე პატარა სკვერში მწვანე სკამზე ჩამოსხდნენ.

პირველი, რამაც მგზავრობითა და ფეხზე დგომით დაღლილი ყმაწვილების ყურადღება მიიპყრო, ეს იყო შემწვრის, მოხრაკულისა და წვნიანის სუნი. მთელი ეს სურნელება იმ დიდი ვარდისფერი შენობიდან მოედინებოდა და, მაშასადამე, ეს არ იყო საქალაქო საბჭოს შენობა, როგორც ამას მეგობრები წელან ვარაუდობდნენ. მაგრამ ეს იყო ფრიად საჭირო და სასარგებლო დაწესებულება, სათანადო წარწერით „ახალი კახოვკის მუშა-მოსამსახურეთა სასადილო, № 3“.

— ესეც ახალი კახოვკა, — თქვა საშკომ, — მე მეგონა ქალაქი იყო, ამას კი ბევრი უკლია ქალაქამდე...

— რა თქმა უნდა ბევრი! — შენიშნა გრიცკომ. — ხუთი თვე არაა რაც მშენებლობა დაიწყო.

ამის შემდეგ გრიცკოს და საშკოს ბევრი აღარ უსაუბრნიათ იმის შესახებ, თუ როგორი ქალაქია დღეს ახალი კახოვკა და როგორი იქნება იგი მომავალში; შეთანხმდნენ იმაში, რომ ნასადილევს, განახლებული ენერგიით სჯობდა შესდგომოდნენ საქმეს; მოიჩხრიკეს ჯიბეები, გამოიანგარიშეს, რომ ოცდახუთი მანეთიდან სამგზავრო ბილეთებისათვის საკმარისი იქნებოდა თოთხმეტი, ხოლო დარჩენილი თერთმეტი მანეთით მშვენივრად ისადილებდნენ ორივენი; გაისწორეს ყელსახვევები, ტანსაცმელი წესრიგში მოიყვანეს და სასადილოში შევიდნენ.

***

რა თქმა უნდა, მოსწავლეები იშვიათად სადილობენ სასადილოში. პირადად გრიცკო და საშკო ერთხელ იყვნენ სასადილოში, — ისიც მასწავლებლის თანხლებით. ეს იყო ნიკოლაევში, სადაც ბიჭები შარშან იყვნენ ექსკურსიაზე, იმ ოცდახუთი წითელფლოტელის საფლავის სანახავად, რომელთაც ოკუპირებული ნიკოლაევიდან უეცარი დესანტით ასეულ ტონობით ხორბლის გატანა სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. მართალია, ნიკოლაევი ჯერჯერობით ახალ კახოვკაზე დიდია, მაგრამ ის სასადილო გაცილებით პატარა იყო ამ უზარმაზარ დარბაზზე. დარბაზს ეჭირა მთელი სართული საკმაოდ მოზრდილი შენობისა, და ყმაწვილებს ამ განსაკუთრებული სიდიდის გარდა უმალ თვალში ეცათ ის, რომ ნიკოლაევის სასადილოში ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, ისხდნენ სერიოზული მოქალაქენი, სდუმდნენ და სადილობდნენ... აქ კი, ამ დარბაზში, გარბოდნენ და გამორბოდნენ ოფიციანტები, გრუხუნებდა ჯამ-ჭურჭელი, ხორხოცობდა და ყაყანებდა ჯანმრთელი ხალხის ზღვა და ეს პურისჭამა ღლეობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სადილობას.

სხვათა შორის, ამ სურათმა, ცოტა არ იყოს, გაამხნევა მეგობრები. საშკომ თვალი მოჰკრა ცარიელ სკამს დარბაზის შუაგულში და ორივემ იმ მაგიდას მიაშურა. მალე ჭრელთვალა ოფიციანტი გოგონა ღიმილით გამოცხადდა, შეკვეთა მიიღო და ვიდრე კერძს მოიტანდა, ყმაწვილებმა დაიწყეს ირგვლივ მჯდომი ხალხის, სხვის თეფშებზე მოთავსებული საჭმლის და მოხატული კედლების თვალიერება.

სურათები იყო ფერადი, ზეთის საღებავებით შესრულებული. მარჯვენა კედელზე ეხატა მომავალი კახოვკის ელექტროსადგურის კაშხალი, რომლის თორმეტი რაბიდან თქრიალით გადმოდიოდა დნეპრი. მარცხენა კედელზე ჩანდა ერთერთი რაბი, რომელშიც ლამის გახირულიყო თბომავალი „უკრაინა“. პირდაპირ კი, სიგრძივ კედელზე, ოცი—ოცდაათი კვადრატული მეტრის ფართობზე თვალს იტაცებდა ახალი კახოვკის საერთო ხედი. ეს ხედი, რა თქმა უნდა, არ იყო დღევანდელი ხედი — ქალაქის პროექტიდან იყო გადახატული. სამივე ნახატი ლაპარაკობდა იმაზე, თუ რას აშენებდა ეს მხიარული ხალხი, რომელიც ახლა აქ სადილობდა.

ოფიციანტმა გოგონამ ხადილი მოიტანა, მაგრამ ბიჭები უმალ როდი ეძგერნენ დანა-ჩანგალს. ზრდილობის საკითხია! გრიცკომ, როგორც ხელმძღვანელმა და უფროსმა ყოველგვარ საქმეში, საჭიროდ ჩათვალა რამდენიმე წუთით შეყოვნება; ამიტომ შეკითხვა მისცა საშკოს: აი, ამ ორი სურათიდან, ესიგი ორი საქმიდან — კახოვკის ელსადგურისა და ქალაქ ახალი კახოვკის მშენებლობიდან — რომელი მშენებლობაა მთავარი?! საშკოს, რომელიც, მართალია, ყველაფერში ბაძავდა გრიცკოს, გაზეთი მაინცდამაინც არ უყვარდა, ისე რომ პიონერულ გაზეთსაც არ კითხულობდა. მან უპასუხა, რომ ეჭვს გარეშეა ქალაქის მშენებლობაა მთავარი. ამაზე გრიცკომ გულმოსულად შეუბღვირა და საჭირო ახსნა-განმარტება ჩაატარა; მან განმარტა, რომ კომუნიზმის დიად მშენებლობად ითვლება კახოვკის ჰიდროკვანძის და არა ქალაქ ახალი კახოვკის მშენებლობა, და რომ მან, საშკომ, დროა ხელი მოჰკიდოს გაზეთს! ეს ახალი ამბავი მაინც და მაინც არ მოეწონა საშკოს, რადგან გამოდიოდა, რომ ნერგებით გამოწვეული მთელი დავიდარაბა, რომელიც მან გრიცკოსთან ერთად გამოიარა, მეორეხარისხოვან საქმეს უკავშირდებოდა. გრიცკომ ამ საქმეშიც მოიშველია გაზეთები და მეგობარს ყველაფერი აუხსნა. ამის შემდეგ ორივე ენერგიულად შეუდგა სადილობას.

მიუხედავად იმისა, რომ საშკომ ოფიციანტს წინასწარ აცნობა თავისი „ბიუჯეტის“ შესახებ, სადილი იყო, უხვიც და გემრიელიც: წვნიანს მოჰყვა შემწვარი, შემწვარს — რაღაც მოვარდისფრო დესერტი... ამ ამბავმა მაინც შეაფიქრიანა ბიჭები. შემწვრის შემდეგ მეგობრებმა შეისვენეს, გადახედეს იქაურობას და სიამოვნებით შენიშნეს, რომ მეზობელ სუფრაზე ასეთსავე სადილში გადახდილ იქნა სამმანეთნახევარი.

დარბაზი კი ისევ გრუხუნებდა, ხარხარებდა... წკრიალებდა ჯამ-ჭურჭელი, გარბოდ-გამორბოდნენ ოფიციანტები... შინაურებივით შემოდიოდნენ ახალ-ახალი მოსადილენი და ყოველ შემოსულს თხუთმეტი-ოცი კაცი მაინც ესალმებოდა ახლო-მახლო მაგიდებიდან. გასაგებიცაა: სხვა ქალაქებში — ნიკოლაევში, ხერსონში — მთელი კვარტალები უნდა გაიარო, ნაცნობს რომ შეხვდე, ეს ხალხი კი ნაცნობები კი არა, ერთი ოჯახია, ერთად აშენებს კახოვკის ჰიდროკვანძსაც და საკუთარ ქალაქსაც.

დარბაზში ჩქარი, საქმიანი ნაბიჯით შემოვიდა თეთრ საექიმო ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ყოველის მხრიდან შემოსძახეს, რომ სადილს დეგუსტაცია არ სჭირდება, რომ წვნიანიც და მეორე თავი კერძიც ორ-ორი მათლაფით იქნა შემოწმებული ცნობილი მეექსკავატორის — ბონდარენკოს მიერ.

დარბაზი ხარხარებდა, ვეებერთელა ბონდარენკო კი დამნაშავესავით იღიმებოდა.



— მე, სულ უკანასკნელი, ათიათასი ძირი მჭირდება საქმის დასაწყებად,—ის ათასხუთასს მთავაზობს...

გრიცკომ და საშკომ სადილობა მოათავეს, ოფიციანტს გაუსწორდნენ და ოთხი მანეთიც დარჩათ, ბილეთისათვის გადადებული თანხის გარდა. უკვე დრო იყო საქალაქო საბჭო და ქალაქის მთავარი აგრონომი მოეძებნათ; ის იყო ადგომას აპირებდნენ, რომ დარბაზი ისევ აგუგუნდა:

— „მწვანე პაპას“ გაუმარჯოს, „მწვანე პაპას“!

ეს იყო სამოცი — სამოცდახუთი წლის ბუმბერაზი მოხუცი. ერთი იმათგანი, ვისაც უმალ ას კაცში გამოარჩევ. ეხურა ტყავის ყურებიანი ქუდი, ეცვა მძიმე, მხედრული ჩექმები და შნოიანად ტანზე მორგებული შავი დაბამბული ქურთუკი, რომელზედაც მატყლის გაპენტილ ქულასავით გადმოჩჩენოდა ფართე წვერი. ასე რომ „მწვანე პაპა“ შავებში იყო გამოწყობილი და მწვანე არაფერი ჰქონდა.

იგი მოაბიჯებდა წარბშეკრული და გულმოსული, ერთი კი წამოსცდა რაღაც სალმისმაგვარი, მერე, თითქოს შეცდომის გამოსწორებას აპირებსო, უფრო მოიღუშა, შუა დარბაზამდე ისე მიაღწია, სკამი არ უძებნია, არც ვინმესთვის შეუხედავს. გრიცკოს და საშკოს მაგიდას რომ მიუახლოვდა, მეზობელ სუფრიდან ვილაც ჭაბუკი წამოხტა, ერთი შესცინა და საჩქაროდ თავისუფალი სკამი მიართვა. მოხუცი ერთ წამს შეყოყმანდა, მერე სკამზე დაეშვა, ხმაურით გაისწორა სკამი და ოფიციანტს, რომელმაც დანახვისთანავე მოირბინა, ოთხიხუთი სიტყვა მიუგდო.

დარბაზი აღარ გრუხუნებდა, თუმცა აქა-იქ მაინც გრძელდებოდა ხმამაღალი ლაპარაკი, იმის შესახებ, რომ „მწვანე პაპა“ დღეს ხასიათზე ვერაა. მოხუცისთვის შეხუმრება არავის გაუბედნია. პირიქით, უხერხულობას გრძნობდა ის, ვინც წელან ზედმეტად ხმამაღლა და თავისი ტოლივით მიესალმა მოხუცს. თითქოს გულიც ეტკინა იმის გამო, რომ „მწვანე პაპა“ უგუნებოდ იყო. მეზობელი მაგიდიდან ლურჯ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკი მუშა წამოდგა, თავისი სკამი მოხუცის მაგიდასთან მიაცოცა და ფრთხილად მიესალმა:

— თუ შეიძლება თქვენთან დაჯდომა?!

— დაჯექი,—ცივად უთხრა მოხუცმა.

ჭაბუკმა ქურდულად თვალი შეაპარა მოხუცს. როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მან თქვა:

— გვაპატიე, ივან ლუკიჩ, თუ იმდენად გაგვიხარდა თქვენი დანახვა, რომ თავი ვერ შევიკავეთ და ყვირილი ავტეხეთ... ეს მხოლოდ... სიყვარულით, — მანირგვლივ მიმოიხედა და ცბიერად გაიღიმა, — ვინ აწყენინა „მწვანე პაპას“, რატომაა „მწვანე პაპა“ უხასიათოდ?!

— „მწვანე პაპას“ ვერავინ აწყენინებს! — ნიშნის მოგებით ჩაახველა მოხუცმა და აქეთ-იქით მიმოიხედა, ვითომდა ყველას გასაგონად ვამბობო. — „მწვანე პაპა“ იქით აწყენინებს ყველას, ვინც მის საქმეში ჩაერევა და ხელს შეუშლის...

ჭაბუკმა გაკვირვება გამოხატა უსიტყვოდ, სახის გამომეტყველების უეცარი შეცვლით. „რა იყო, რა მოხდა? ვინ ჩაგერია საქმეში, ვინ გაწყენინაო?“ მაგრამ მოხუცი მარტო გამომეტყველებას არ დასჯერდა და შეკითხვას დაუცადა.

ჭაბუკი მიუხვდა:

— ეს ორი დღეა არ ჩანდით, ივან ლუკიჩ,— თქვა მან, — სად ბრძანდებოდით?

— ხერსონში გახლდით, — უპასუხა მოხუცმა.

— ალბათ გამწვანების საქმეზე?!

— ჰო, რაღა თქმა უნდა.

— მერე, როგორაა საქმე?

მოხუცი აწრიალდა, სახე მიიბრუნა, მიიხედ-მოიხედა, მერე უცებ აპილპილდა:

— როგორ იქნება, შენისთანა ჭყინტი საქმისკაცების ხელში? დიდებულადაა! იქ სამმართველოში ვილაც ლამაზი ყმაწვილი ზის... მე, სულ უკანასკნელი, ათიათასი ძირი მჭირდება საქმის დასაწყებად, — ის ათასხუთასს მთავაზობს... მე ვეუბნები: აბრეშუმის აკაცია მინდა, თეთრი არყი მინდა, წითელი ნეკერჩხალი — ის ათასგვარ ძეძვსა და მყრალ ნერგს მაჩეჩებს...

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საშკო კინაღამ ადგილიდან წამოხტა. გრიცკომ იდაყვი გაჰკრა და ანიშნა, გაჩუმებულიყო. ამასობაში მოხუცს სადილი მოართვეს და ის ჩუმად, გულმოსული, შეუდგა სადილობას. ყმაწვილებმა დატოვეს დარბაზი, კიბეებზე დაეშვნენ, ქუჩაში გავიდნენ და წელანდელ სკვერში, ნაცნობ სკამზე ჩამომსხდარნი, მოუთმენლად დაელოდნენ მოხუცის გარეთ გამოსვლას.

* * *

„მწვანე პაპა“ კარგახანს არ ჩანდა — ეტყობოდა საფუძვლიანად სადილობდა.

გრიცკომ და საშკომ ბევრი იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ „მწვანე პაპა“ იყო კაცი, რომელსაც პირდაპირი და უშუალო კავშირი ჰქონდა ახალი კახოვკის გამწვანების საქმესთან. „მწვანე პაპას“ შეეძლო დაეკავშირებინა ყმაწვილები ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან და ქალაქის მთავარ დეკორატორ-აგრონომთან. ეს ეჭვგარეშე იყო. მაგრამ ბიჭები ეჭვითაც ვერ ხვდებოდნენ იმას, რომ „მწვანე პაპა“ თვითონ გახლდათ ახალი კახოვკის ჯერჯერობით ერთადერთი და, მაშასადამე, მთავარი დეკორატორ-აგრონომიც. ამას ბიჭები იმიტომ ვერ მიხვდნენ, რომ მათი ფიქრით მთავარი აგრონომი, ისიც დეკორატორი, უთუოდ ახალგაზრდა და ძალიან განათლებული კაცი უნდა ყოფილიყო. „მწვანე პაპა“ კი, მართალია, ძალზე სასიამოვნო გარეგნობის იყო, მაგრამ მაინც გლეხკაცის შესახედაობა ჰქონდა. სხვათა შორის, ეს ასეც იყო, — მოხუცი,

როგორც ნაცადი, ძველი მებაღე და დღეს უკვე მთელს უკრაინაში განთქმული მიჩურინელი, ახლახან სპეციალურად იქნა გადმოყვანილი ხერსონის ოლქის ერთ-ერთი მილიონერი კოლმეურნეობიდან. იქიდანვე გადმოჰყვა მას ზედმეტი სახელი — „მწვანე პაპა“, რაც მას იმის გამო შეარქვეს, რომ მწვანე ფერი განუყრელი იყო მის პიროვნებასთან, ყოველთვის მწვანე ნარგავებში მოჩანდა მისი მატყლის ქუდასავით გაპენტილი წვერი.

გრიცკო შეეკითხა საშკოს და საშკომაც დაადასტურა, რომ მოხუცი ლაპარაკობდა ნამდვილად არყის ხისა და ნეკერჩხლის და კიდევ რომელიღაც აბრეშუმის აკაციის უქონლობაზე თუ ნაკლებობაზე ხერსონის ოლქის სანერგეებში. აქედან გამომდინარეობდა, რომ ახალ კახოვკაში ეს ჯიშები იხარებდნენ, რომ ახალ კახოვკაში ისინი სურდათ. როცა მოხუცის სიტყვები კიდევ და კიდევ გაიხსენეს და ამაში საბოლოოდ დარწმუნდნენ, საშკომ განაცხადა, რომ ფაქტიურად მათ საქმე აღარ აქვთ აქ და ისლა დარჩენიათ, ახლავე გაემგზავრონ აქედან, რადგან მოულოდნელი საჩუქარი შესაძლებელია უფრო ეფექტურიც იქნეს კახოვკელებისათვის. ამაზე გრიცკო შეყოყმანდა და, როცა საქმე კარგად ასწონ-დასწონა, არ დაეთანხმა: ჯერ ერთი, ხერსონისაკენ მიმავალი გემი, სულ ერთია, ექვს საათამდე არ ჩამოდგებოდა, მეორეც — ყურმოკრულ სიტყვას შემოწმებული სჯობდა, მესამეც — რამაც, სხვათა შორის, ჩააფიქრა გრიცკო, — მოხუცი ლაპარაკობდა ათასობით ნერგზე და, ვინ იცის, ასი და ორასი ძირი არც მიიღო.

ამაზე საშკოც ჩაფიქრდა, მაგრამ საშკოს დიდხანს არ უყვარდა ფიქრი, იმედიანი ბიჭი იყო. იგი ფეხზე წამოხტა, რადგან ნასადილევი და ამიტომ ძალამოცემული „მწვანე პაპა“ კარგა შორს გასცილებოდა სასადილოს და ჩქარი, გრძელი ნაბიჯით მიჰყვებოდა ხარაჩოებში ჩამდგარ მთავარ კვარტალს.

ბიჭებს მოუხდათ საკმაო მანძილის გარბენა, რადგან მოხუცმა ახლა სხვა კვარტალში გაუხვია და შესაძლებელი იყო მხედველობიდან დაჰკარგვოდათ. ასეც რომ არ ყოფილიყო, შორიდან ხომ არ დაუწყებდნენ ძახილს! როცა ათიოდე ნაბიჯზე წამოეწივნენ, მოხუცმა თითქოს იგრძნო მათი მიახლოვება, ერთი კი მოხედა უკან, მერე, „ბავშვები ყოფილანო“ გაიფიქრა და განაგრძო გზა.

მაშინ კი შეჰკადრეს ბიჭებმა დაძახება:

— პაპავ!—შესძახეს გულამოვარდნილებმა,—საქმე გვაქვს თქვენთან...

მოხუცი შეჩერდა.

— ბოდიში, პაპავ, — დაიწყო გრიცკომ ბორძიკით და საშკოს [გადახედა, — ჩვენ პიონერები ვართ... სტანიცა ბრავოდან...

მოხუცს უმალ დაეშალა თვალის უპეებთან თავმოყრილი ნაოჭები. „მწვანე პაპა“ იღიმებოდა.

— კეთილი, — თქვა მან მცირეოდენი დუმილის შემდეგ,-— ვხედავ, რომ პიონერები ხართ... რითი შემიძლია გემსახუროთ?

ისევ გრიცკომ დაასწრო საშკოს:

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ თეთრი არყი იხარებს ახალ კახოვკაში?

— ნეკერჩხალიც? — დაუმატა საშკომ.

გაოცებულმა „მწვანე პაპამ“ მხრები აიჩეჩა:

— მართალია, დღეს ჩვენ ერთად ვიმგზავრეთ გემით, — თქვა მან, — მაგრამ მე თქვენთან ამის შესახებ არ მისაუბრია...

ყმაწვილებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს: ერთად გვიმგზავრია, და როგორ მოხდა, ამხელა კაცმა თუ შეგვნიშნა, ჩვენ კი რატომღა ვერ შევნიშნეთო. ისინი მიხვდნენ, რომ ნერგებთან დაკავშირებული უსიამოვნება სულ ახალი ამბავი იყო, მოხუცი ახლა ბრუნდებოდა ხერსონიდან და ამის გამო წინადადებას, რომლის მიცემასაც ყმაწვილები ეპირებოდნენ, მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

— არა, ჩვენთან არა... ჩვენთვის არ გითქვამთ... — თქვა გრიცკომ სასწრაფოდ, — ჩვენ თვითონ გავიგონეთ... იქ, სასადილოში...

— იხარებს, — თქვა „მწვანე პაპამ“, — ისე დავრგავთ, რომ იხარებს...

მეგობრები გახარებულები დარჩნენ პასუხით. უკვე გადაწყვეტილი იყო საკითხი და გრიცკო აპირებდა ეთქვა ამდენი ხნის სათქმელი, მაგრამ საშკომ, რომელმაც საერთოდ დაუკვირვებელი ლაპარაკი იცოდა, წამოაყრანტალა:

— კი, მაგრამ რას დარგავთ? წელან ჰყვებოდით, რომ...

„... რომ ნერგები არა გაქვთო“, უნდოდა ეთქვა საშკოს. გრიცკო უმალ მიუხვდა მას და მუჯლუგუნი გაჰკრა გაჯავრებულმა. ეს ამბავი არ გამოჰპარვია მოხუცს, მიუხვდა საშკოს, რისი თქმაც სურდა, და საოცრად ნაწყენი დარჩა:

— თქვენ რა, — მოიღუშა ის, — ნიშნის მოსაგებად გვესტუმრეთ ბრავოდან თუ? დავრგავთ... ვიშოვნით როგორმე... — იგი შებრუნდა და წასვლა დააპირა.

გრიცკო შეშინდა, დაფაცურდა საქმის გამოსასწორებლად, — გზაზე გადაუდგა მოხუცს:

— არა, პაპავ, მაგას ყურს ნუ უგდებთ... ნერგებს როგორ ვერ იშოვით... — სხაპასხუპით დაიწყო მან, — ოღონდ, რა ძალა გვადგია?! ჩვენს სტანიცაში რომ თეთრი არყია, ისეთი მთელს უკრაინაში არსად იქნება... აი, ჩვენ, მე და ამ ბიჭმა, —ამას საშკო ჰქვია, პაპავ, — გადავწყვიტეთ... თეთრი არყისა და ნეკერჩხლის ნერგები დაგვემზადებინა თქვენთვის...

— გადავწყვიტეთ კი არა, უკვე შევუდექით საქმეს... — შენიშნა საშკომ დამნაშავის კილოზე.

„მწვანე პაპას“ უცებ გაუბრწყინდა თვალები და ისევ ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ის მიხვდა, რომ ძალიან კარგ ბიჭებთან ჰქონდა საქმე. ერთ წამს მადლობის გრძნობამ შეიპყრო მისი მოხუცი გული და არ იცოდა, რა ეთქვა ბავშვებისათვის. მერე უეცარი სიხარული მის სახეზე გულგრილმა, სერიოზულმა გამომეტყველებამ შესცვალა და გულნაკლულად თქვა:

— ყოჩაღი ბიჭები ყოფილხართ, ამხანაგებო... ნამდვილად კარგი საქმე მოგიფიქრებიათ. ოღონდ მე ახლა ქალაქის საბჭოში მეჩქარება, სერიოზული საქმე მაქვს მოსაგვარებელი... — იგი ჩაფიქრდა: — კარგია თქვენი ათი-თხუთმეტი თეთრი არყი, მაგრამ საქმეს ეგ ვერ უშველის... ამიტომ... მშვიდობით... — მან ლოყაზე ხელი მოუთათუნა გრიცკოს, მერე საშკოსაც, და დასძინა: — მაინც... გამოგზავნეთ თქვენი ნერგები, უსათუოდ გამოგზავნეთ.

აქ გრიცკომ იგრძნო, რომ საქმე ვერ იყო კარგად, დაიბნა, აირია და ისეთი ტყუილი წამოაყრანტალა, — ყურებამდე გაწითლდა:

— რისი თხუთმეტი ძირი, რისი ასი და ორასი! სამასიოთხასი ძირი მზადა გვაქვს უკვე...

არც საშკო დაბნეულა:

— ხუთასიც იქნება... — თქვა მან უსირცხვილოდ.

ეს კი აღარ იყო მთლად სახუმარო საქმე, რაც „მწვანე პაპას“ უმალ შეეტყო. მყისვე ალაპარაკდა მოხუცი, — არ დაუმალავს გაკვირვება და დაწვრილებით გამოჰკითხათ ყველაფერი: როგორ, ვინ მოიფიქრა ეს კარგი საქმე, რამდენი პიონერი მუშაობდა ამ ხუთასი ძირის დამზადებაზე, რამდენი ძირი იქნება საერთოდ მთელს კუნძულზე... გახარებული და



— ...ჩვენს სტანიცაში რომ თეთრი არყია, ისეთი მთელს უკრაინაში არსად იქნება...

გამოცოცხლებული ხალისიანად წაუძღვა ყმაწვილებს ახალი კახოვკის საქალაქო საბჭოში.

* * *

კახოვკიდან გვიან ბინდბუნდში აუვლის ხოლმე სტანიცა ბრავოს გემი. ახლაც ბინდდებოდა უკვე. შტურმანი ნაწყენი და გულმოსული დარჩა, — გემი ნაპირს მიაყენა მხოლოდ ყმაწვილების გულისთვის; მეტი არც ვინმე ჩასულა გემიდან, არც ასულა გემზე. გრიცკო და საშკო არავისგან ელოდნენ შეხვედრას და ძალიან გაუხარდათ, როცა ტყუპები და გავრილა დაინახეს. პანასი არსად ჩანდა, — გავრილას სასტიკად დაესაჯა თავისი ერთგული მედოლე აგრონომთან ენის მიტანისათვის.

სტანიცისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ ბინდბუნდში. ბიჩკოები ლამის პირში ჩაუძვრნენ გრიცკოს და საშკოს. გავრილაც ძალიან შინაურულად და მეგობრულად იყო განწყობილი. ეტყობოდა, ტყუპებს კეთილსინდისიერად შეესრულებინათ დავალება, — იმდენად კეთილსინდისიერად, რომ, როცა გრიცკომ თქვა, კუნძულზე მუშაობა გაათკეცებული ენერგიით იქნება გაგრძელებულიო, ყველაზე მეტად გავრილას გაუხარდა და განაცხადა, რომ მისი ოცდაშვიდი პიონერი მზადაა ხვალ უთენია გავიდეს კუნძულზე.

ბიჭები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და შინ გასწიეს დასაძინებლად; მაგრამ გრიცკოს, მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი და გადატვირთული იყო ათასი შთაბეჭდილებით, არ დაეძინა. იგი ფიქრობდა ტყუილზე, რომელიც შეჰკადრა ჯერ კახოვკის მთავარ აგრონომს — ივან ლუკიჩს, ხოლო შემდეგ — ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს. ეს იყო ტყუილი, რომლის დაფარვა აღარაფრით მოხერხდებოდა და ადრე თუ გვიან საქვეყნოდ გამომჟღავნდებოდა, რადგან ბოლოს და ბოლოს მეცხრე რაზმთან შეამხანაგებითაც არაფერი ხერხდებოდა და არა თუ ხუთასის, სამასი ძირის დამზადებაც შეუძლებელი იყო ამ ერთ კვირაში. შემდეგ ის ფიქრობდა სწორედ მეცხრე რაზმზე, რომელთანაც მის რაზმს, ასე ვთქვათ, ფარული შეთანხმება ჰქონდა დღეიდან, და გული მოუვიდა გავრილა სიდორენკოზე, რომელიც აქამდე გარს უვლიდა, უტრიალებდა, უკირკიტებდა და მოსვენებას არ აძლევდა, ახლა კი... გაყუჩებულია, მოთვინიერებული და კმაყოფილიც... ერთი სიტყვაც არ დასცდენია კიდევ რომელიმე სხვა რაზმის შეამხანაგებაზე, და პირიქით, საქმის გახმაურებისათვის თავისი მედოლეც დასაჯა. სულ ბოლოს გრიცკოს გაახსენდა ძმები ბიჩკოები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ასე ერთგული და თავდადებული არიან საქმისათვის, თავიდანვე ფიქრობდნენ და ალბათ ახლაც ფიქრობენ — უმჯობესი იქნებოდა საქმის რაზმეულის საბჭოზე გატანაო.

გრიცკო სიმპატიითა და სიყვარულით განეწყო ტყუპებისადმი და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რარიგად ცდებოდა, როცა მათზე გული მოსდიოდა. იგი დიდხანს ფიქრობდა მათზე. ეს თავმდაბალი და გულკეთილი ბიჭები ახლა მის ამხანაგებში ყველაზე კარგ, ყველაზე გულისხმიერ და დიდბუნებოვან ამხანაგებად გამოჩნდნენ. გრიცკოს ფიქრი კარგისკენ წარიმართა.

დაახლოვებით ასეთსავე ფიქრებში იყო საშკოც. ისიც ფიქრობდა, რომ ახალი კახოვკის საქალაქო საბჭოში მიცემული სიტყვის შესრულება ძნელი იყო, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა უპირველეს ყოვლისა გრიცკოსი, ხოლო გრიცკოს გარდა კიდევ რაღაცის — გაურკვევლისა და ბუნდოვანის. ამ იმედით დაეძინა და ამავე იმედით გაეღვიძა საშკოს. იგი გააღვიძეს მგლისფერ ბინდბუნდში გავრილამ და პანასმა. ისინი ბარებით შეიარაღებულიყვნენ.

ათიოდე წუთის შემდეგ დნეპრის პირზე ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე შეიკრიბა არა ერთი, არამედ უკვე ორი — მეხუთე და მეცხრე რაზმი. არ ჩანდა მხოლოდ გრიცკო. ყმაწვილები საუბრობდნენ, რაღა თქმა უნდა, საქმეზე, რომელიც საყოველთაო გაოცებასა და შურს გამოიწვევდა მთელ სტანიცაში; აწყობდნენ გეგმას და გასცქეროდნენ გზას, რომლითაც გრიცკო უნდა გამოჩენილიყო. მაგრამ მზე უკვე ამოიწვერა და გრიცკო არსად ჩანდა.

მაშინ საშკომ ძმები ბიჩკოები აფრინა ორი რაზმის საერთო ხელმძღვანელთან. ტყუპები მთელი საათით დაიკარგნენ და დაბრუნდნენ უცნაურად თვალებანთებულნი და აფორიაქებულნი ახალი მოულოდნელი ამბით. ისინი ჰყვებოდნენ, რომ გრიცკო სახლში არ დახვდათ, რის გამოც მთელი სტანიცა მოირბინეს და იპოვნეს იგი სკოლაში, სადაც ამ დილაადრიან გაუგონარი ამბავი ხდება: იკრიბება თხუთმეტივე პიონერული რაზმი, და უფროსი პიონერხელმძღვანელი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, სკოლის დირექტორი და გრიცკოც დაუყოვნებლივ იბარებენ მეხუთე და მეცხრე რაზმს რაზმეულის სასწრაფო შეკრებაზე.

— ეგ როგორ? — გაოცდა გავრილა, — რა შეკრება, რის შეკრება?! გრიცკოს იქ რა უნდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



1952 წლის 5 აპრილს სტანიცა ბრავოს მახლობელ კუნძულს„მიადგა მოზრდილი კარჭაპი — „კომკავშირელი".

— არ ვიცი, რა უნდა, — ორჭოფად გაიღიმა უფროსმა ბიჩკომ, — ასე კია და... გრიცკოც იქ არის...

ყველა გაოცებული დარჩა ამ მოულოდნელი რიგგარეშე შეკრებით. ეს ამბავი მოულოდნელი იყო საშკოსთვისაც; იგი არაფერში შესთანხმებია წუხელ გრიცკოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვაზე ადრე მიხვდა საქმის შინაარსს — გრიცკოს რაზმეულის შეკრებაზე გაჰქონდა კახოვკის საკითხი. ეს ასე იყო ნამდვილად. საშკოს გული შეეკუმშა წყენისგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან იგრძნო, ეს იყო გონივრული და დამაჯერებელი ნაბიჯი... თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, თითქოს სწორედ ეს იყო ის გზა და იმედი, რომელიც ასე ბუნდოვნად და გაურკვევლად ესახებოდა წუხელ.

ეს იყო ძალზე არასასიამოვნო, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი და გამოუსწორებელი ამბავი. ამ აზრს შეეპყრო საშკო, გავრილა, პანასი და ყველა, ვისაც თავის გამოჩენა უყვარს. ხოლო ჩვენ შორის, ცოდვა გამხელილი სჯობია, ჯერ კიდევ საკმარისად მოიპოვებიან სახელსა და დიდებაზე, საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული პიონერები. ყველას სწყინდა ეს ამბავი. ნამდვილად მხოლოდ ბიჩკოები იყვნენ კმაყოფილნი, მაგრამ სიხარულს ისინიც მალავდნენ.

ასე იყო თუ ისე, მეტი რა გზა იყო! ესა თქვეს, ისა თქვეს, ბევრი ლანძღეს გრიცკო და ბოლოს მაინც გზას დაადგნენ — ყაყანით, ხმაურითა და საუბრით სკოლისაკენ გამწკრივდნენ.

როცა ორმოცდაათი პიონერი ჩუმად სათითაოდ შეიკრიბა დიდ სასპორტო დარბაზში, სადაც ჩვეულებისამებრ იმართებოდა ხოლმე რაზმის შეკრებები, — ტრიბუნაზე გადმომდგარი სკოლის დირექტორი ლაპარაკობდა უკვე იმაზე, თუ რარიგ საპასუხისმგებლო საქმეს ჰკიდებს ხელს სტანიცა ბრავოს პიონერული ორგანიზაცია, რარიგ დიდი იქნება მისი მნიშვნელობა და რარიგ უმნიშვნელო, ფერმკრთალი იქნებოდა იგი, ზოგიერთი პიონერი რომ დროზე არ გამორკვეულიყო, დროულად არ ამაღლებულიყო პიონერულ ღირსებამდე.

ლაპარაკი იყო, რა თქმა უნდა, გრიცკოზე, რომელიც პიონერის ღირსებამდე, პიონერის მოწოდებამდე ამაღლდა იმით, რომ თავის მიერ მოფიქრებული და დაწყებული საქმე გადასცა მთელ რაზმს, უწილადა ამხანაგებს.

რაზმეულის შეკრება დიდხანს არ გაგრძელებულა. სასწრაფოდ დაისახა პრაქტიკული ღონისძიებები, ყოველ რაზმს დაევალა საჭირო იარაღების დამოუკიდებლად მოპოვება და კუნძულზე გადასასვლელად ნასადილევს დნეპრისპირ გამოცხადება.

რაზმები დარბაზიდან გამოიშალნენ. მეხუთე და მეცხრე რაზმი, როგორც უკვე აღჭურვილნი საჭირო იარაღებით, სკოლიდან პირდაპირ კუნძულზე გადასასვლელად გაემგზავრნენ. დანარჩენი რაზმები კი, ვიდრე ბარების, წერაქვების და სხვათა მოსაპოვებლად წავიდ-წამოვიდოდნენ, მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ყაყანითა და სიმღერით მიაცილებდნენ მათ.

სდუმდა გრიცკო, ჩუმად, ეჭვიანად ილიმებოდნენ ტყუპები. საშკომ კი გუდას თავი მოხსნა და ჰყვებოდა, როგორი პატივისცემით იქნენ მიღებული ის და გრიცკო ახალი კახოვკის საქალაქო საბჭოში, როგორ ისხდნენ და მუსაიფობდნენ ისინი საბჭოს თავმჯდომარესთან და განთქმულ აგრონომ-დეკორატორთან — ივან ლუკიჩთან, რომელსაც ზედმეტსახელად „მწვანე პაპას" ეძახიან; როგორ თხოვეს საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ და „მწვანე პაპამ" მას და გრიცკოს დაწყებული საქმის უფრო ფართოდ გაშლა და ამ საკითხის რაზმეულის საბჭოზე გატანა...

იმ დილით სტანიცა ბრავოს სარდაფებში, შეშის ფარდულებში, საკოლმეურნეო მანქანა-იარაღების საწყობის ჯართის განყოფილებაში და ყველგან, სადაც ოდნავი იმედი იყო, დაუკითხავად, უბოდიშოდ დატრიალებდნენ პიონერები. მოპოვებული, გამოკვერილი და ტარდაგებული იქნა წლების განმავლობაში ჟანგმოკიდებული, ჯართად ქცეული მრავალი ათეული ბარი და წერაქვი, რითაც გაკვირვებული, მაგრამ უსაზღვროდ კმაყოფილი დარჩა მთელი კოლმეურნეობა.

ნასადილევს კი, როცა ძალმოცემული გაზაფხულის მზე სტანიცა ბრავოს დაუპირდაპირდა და ზენიტში აღიმართა, თხუთმეტი რაზმი არყისა და ნეკერჩხლის ჭალას შეესია და კუნძულის ჟრიამული გაღმა-გამოღმა სტანიცებშიც გაიგონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეპილოგი

1952 წლის 5 აპრილს, დილით, სტანიცა ბრავოს მახლობელ კუნძულს მიადგა მოზრდილი კარჭაპი „კომკავშირელი“. „კომკავშირელს“ სიმღერითა და გაბმული ყიჟინით შეხვდა თითქმის მთელი სტანიცა. ვინც კი ნავში ჩაჯდომა შესძლო, კუნძულზე იმყოფებოდა იმ დილით. მოხუცები, მთლად პატარები და ქალები ნაპირიდან უყურებდნენ ამ სანახაობას.

კუნძულთან წყალი არ იყო საკმარისად ღრმა. რათა უკეთ მისდგომოდა კუნძულს, „კომკავშირელს“ მოუხდა მის ირგვლივ რამდენიმე წრის გაკეთება და შესაფერისი ადგილის ძებნა. ბოლოს მიადგა კარჭაპი ნაპირს, რისთვისაც საჭირო შეიქნა ამ ადგილზე მთელი ლერწმიანის მოჯეგვა. მეზღვაურებს არ დავიწყნოდათ გრძელი ფიცრები კარჭაპიდან ნაპირზე გასადებად. ამ ხნის მანძილზე კუნძული ხმაურობდა, გრიალებდა, ყიჟინებდა. მერე ყველაფერი მიწყნარდა და კარჭაპი მთელი სამი საათის განმავლობაში იტვირთებოდა თეთრი არყითა და ნეკერჩხლით.

კომკავშირის რაიკომის წარმომადგენელმა, რომლის დასწრებაც ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, სახალხოდ, ყველას გასაგონად განაცხადა, რომ შესაძლებელია 1942 წელს ამ კუნძულზე ჩადენილ გმირობას ვერ შეედრებოდეს, მაგრამ სტანიცა ბრავოს პიონერების დღევანდელი გამარჯვება დიდი გამარჯვებაა და შესანიშნავი წამოწყებაც, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს ოლქის პიონერულმა ორგანიზაციებმა.

მერე, მთელი სტანიცა, ცხადია, კარჭაპზე ვერ მოთავსდებოდა და იმავე კომკავშირის რაიკომის წარმომადგენლის წინადადებით ათას ხუთასი ნერგი ახალ კახოვკაში გააცილა პიონერულმა აქტივმა: გრიცკომ, საშკომ, გავრილამ, პანასმა და ძმებმა ბიჩკოებმა.

ეს იყო 1952 წლის აპრილში. მას შემდეგ, ძნელი საანგარიშო არ არის, რა ხანმაც გაიარა. ამ გაზაფხულზე ახალ კახოვკაში გახლდით, „მწვანე პაპა“ გავიცანი და ეს მოთხრობაც სიტყვა-სიტყვით მან მიამბო. მერე ჩვენ ფეხდაფეხ მოვიარეთ კომუნიზმის მშენებელთა ქალაქი — ახალი კახოვკა, და ფიჭვების, ნაძვების, აბრეშუმის აკაციებისა და ათასი სხვა მშვენიერი მცენარის გარდა, რომელთა სახელები ზეპირად აღარ მახსოვს, სათითაოდ მაჩვენა ათას ოთხასი ძირი გახარებული თეთრი არყი და ნეკერჩხალი, ასი ძირი კი წახრილიყო, გადაბრეცილიყო და გამხმარიყო... გამხმარიყო იმის გამო, რომ ქვეყანაზე გრიცკოს, საშკოს და მრავალი სხვა სამაგალითო პიონერის გვერდით ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი პიონერები, რომლებსაც, როცა დიდი საქმე კეთდება, ხელები ან ჯიბეებში უწყვიათ — ესე იგი არაფერს აკეთებენ— ან და ღობე-ყორეს ედებიან და სხვის გაკეთებულსაც აფუჭებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ფოცხიშვილისა

# ჩვენი რკინიგზა

ნ. გუდოვსკი

## სამშობლოს გზებზე

ქვეყნის ოთხივ მხარეზე
მთებია თუ ველი,
იქსაქსება რკინიგზის
თვალუწვდენი ქსელი.

ისმის დაუდუმარი
მოძახილი ბორბლის.
კოლექტივის სტუმარი
ქალაქიდან მორბის.

მოჰქრის მატარებელი,
და სოფელი შორი
იღებს გუთანს, კომბაინს,
ფერად-ფერად ქსოვილს.

და სოფელიც ქალაქთან
ისევ მასვე ატანს:
ხე-ტყესა და ბოსტნეულს,
ყურძენსა და ატამს.

მოაქვთ, მოაქვთ ვაგონებს
ხორბალი და ბამბა
და ბორბლები ჰყვებიან
მოსავლის დიდ ამბავს.

ხან ზაფხული ვარვარებს,
ხან ცრის შემოდგომა...
დაილოცოს საბჭოთა
რკინიგზელის შრომა.



ჰა, აჟღერებს ბორბალი
რელსებს, როგორც სიმებს.
მღერის, ღრუბლებს ხარაჩო
როგორ ავაცილეთ.

მღერის, როგორ ეძლევა
ქალაქს შნო და ეშხი,
როგორ დნება ლითონი
უზარმაზარ ბრძმედში.

აგერ მწვანე სიგნალიც...
კომუნიზმში მიდის
ყველა მატარებელი,
ყველა გზა და ხიდი.

... შორს, მინდვრებზე, ნისლივით
ორთქლმავალი ბოლავს,
დაილოცოს საბჭოთა
რკინიგზელის შრომა.

ა. სურკოვი

## მივდივართ და მივიმღერით

ზღვას ჰგავს ველი მწიფე ყანით,
ოქროსფერად შეფერილს,
ტრამალებზე ქართან დავით
მიგვყავს მატარებელი.

ვერ გვაშინებს მოსახვევი,
დაბლობია, მთა თუ ხევი,
აღმართებზე, დაღმართებზე,
მობიბინე მინდორ-ველზე,

ნახავთ გრგვინვით მომავალს
კომკავშირულ ორთქლმავალს.

მივდივართ და მივიმღერით,
გვხვდება მუდამ გულგაშლით
ჩვენი ქვეყნის მთა და ველი,
უკრაინა...
კუზბასი...

ხან მოსკოვში შემოგხვდებით,
ხან შავი ზღვის პირებთან.
ყველგან ჰქრიან ბრიგადები
მამაც კომკავშირელთა.

მემანქანეს მუდამ უყვარს
ქროლვით სივრცის გადაშლა,
სიჭაბუკევ, სიხარულო,
იგუგუნე მარადჟამს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. დოლმატოვსკი

## თამარის გაჩერება

გზას მიჰკეცავს სამხრეთისკენ
ჩქარი მატარებელი.
მზის სხივებში გახვეულან
კავკასიის ქედები.

მარცხნივ თეთრი მთები დგანან,
მარჯვნივ — მწვანე ზარია.
უცებ შედგა ორთქლმავალი,
ნეტავ რა ამბავია?

ბაქანიც კი არ ჩანს ირგვლივ,
ნეტავი ვის ელიან?
ჩქარა ჩაჯექ, თამარ-ქალო,
გაჩერება შენია.

აქ გვიბრძანეს რომ გავჩერდეთ,
სხვა განრიგით ვიაროთ,
რომ სკოლაში თამარ-ქალმა
აღარ დაიგვიანოს.



გზის დარაჯის სახლი მოჩანს,
მთებში, როგორც კარავი.
იქ მამასთან ერთად ცხოვრობს
პაწაწინა თამარი.

უჭირს მთებში სიარული,
შორი გზა აქვს სავალი.
რა ქნას გოგომ, საყვარელი
სკოლა ახლოს არ არის.

მაგრამ დედა-საბჭოეთი
არ ივიწყებს პაწიებს,
ყველა ბავშვზე ზრუნავს, ალერსს
ყველა ბავშვს უნაწილებს.

აი, თუმცა მატარებელს
ძლიერ მიეჩქარება,
თამარისთვის შედგეს უნდა,
აქვს ასეთი ბრძანება.

ი. ფრენკელი

## საბავშვო ჩქარი

ჩამოდექით, ჩამოდექით,
ერთად რატომ მოგროვდით?
მოდის ჩქარი ნომერ ორი,
«გამარჯვება» — «მოსკოვი».

ხმაურია... გაცილების
ღელვა, გამოთხოვება.
ჩავუარეთ უკვე სადგურს,
შემდეგ სკოლის მოედანს.

სვლას უმატებს, როგორც მართლაც
ჩქარ ორთქლმავალს შეჰფერის;
ჩავუარეთ არყის ხეებს,
აგერ ნაძვიც ბევრი.

სულ წინ და წინ მიიჩქარის,
წინ ლამაზი გზა მოჩანს.
ფარდული და წყალსაქაჩი
უკან სწრაფად ჩამოგვრჩა.

მაგრამ შედგა ორთქლმავალი
განუწყვეტლივ გაჰკივის.
ჩვენთან ერთად შედგა ბაღიც,
ნაძვიც ტოტებგაშლილი.

ნეტავ ღერძი ხომ არ გატყდა?
რად გაჩერდა ამგვარად?
არაფერი... გზას არ გვაძლევს,
ხბო რელსებში ჩამდგარა.

ლიანდაგში გაბოტილა,
მოღრეცია კისერი,
გზას არ გვაძლევს, რა ყოფილა,
გაკვირვებით გვიცქერის.

— ეს ხომ ჩვენი წაბლა არის!—
დაიძახეს მგზავრებმა,—
ჩვენი კოლექტივის ხბოა,
ჭკვიანი, თეთრხალება!

— წაბლა, ჩვენო კარგო წაბლა,
ხბო ხარ მართლაც სახარე,
გრაფიკი არ დაგვირღვიო,
გზა მოგვეცი ახლავე!

... მივქრით, ვაქებთ მატარებელს
ლამაზს, კარგად მოწყობილს.
მიჰქრის ჩქარი, ნომერ ორი,
«გამარჯვება» — «მოსკოვი».

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. სიკორსკაია

# ციცინათელა

თოვს და ზუზუნებს იანვრის ქარი
თუ ცივი წვიმა უსველებს კალთებს,
გზის დარაჯისთვის სულ ერთი არის,
მოხუცი კაცი ხელფარანს ანთებს.
მივა, ლიანდაგს ათასჯერ ნახავს,
მისდევს რკინიგზის ლამაზ არშიას.
ჯერ კიდევ შორს ჩანს პაწია სახლი,
მაგრამ ფიქრებით უკვე სახლშია.
ცეცხლი ოქროსფრად ღუმელს დაფერავს
და მთელს ოთახში სითბო წამოვა.
და შვილიშვილი — ცელქი ნათელა
კვლავ ჩაუმატებს ნახშირს სამოვარს.
მოვა მოხუცი, იხდის თბილ ჩექმებს,
იტყვის: — გრიგალი უფრო აფთრდება.
მოხუც კაცს ძვლები გამითბოს ეგებ,
დამისხი ჩაი, ციცინათელავ.
ერთხელ, როდესაც ხელფარნიანი
კვლავ მიჰყვებოდა ნაცნობ ლიანდაგს,
ნახა: უცნობი ადამიანი
ბნელში უეცრად გაუჩინარდა...
რად გარბის ეგ თუ კარგი სულია,
მხეცი არის თუ ადამიანი,
იქნებ ბნელეთის მოციქულია,
იქნებ რკინიგზას მისცა ზიანი?...
აი, დაბლა ხრის განუყრელ ფარანს,
აი, რელსებთან ახლოს მივიდა.
უცებ ვილაცამ ჩაარტყა მძლავრად
და გადასჩეხა მიწაყრილიდან.
სახლში კი პაპას ნათელა უცდის,
ლოდინმა ძილი როდი მოჰგვარა...
მატარებლის ხმა ჩაესმა უცებ,
მაშ, განთიადი კარზე მომდგარა.
ქურქი მოიგდო პატარა მხრებზე,
წითელი ფარნით მიჰყვება წყვდიადს.
მირბის, ხმამაღლა ეძახის, ეძებს,
— პაპა! — ძახილი შორს მიაქვს ნიავს.
უცებ შეხედა რაღაც კვალია,
თხილამურების კვალია უფრო,
და აგერ, პაპაც... ცოცხალმკვდარია,
თოვლგადაყრილი თხრილში წევს უხმოდ.
აგერ რელსებიც ვიღაცის ხელით,
ბოროტი ხელით არის აყრილი.
მატარებელი კი მოჰქრის ქშენით,
თითქოს გოგონას ყურთან გაჰყვირის.
და ჰა, ორთქლმავლის სინათლისაკენ
ანთებულ ფარნით მირბის ნათელა.
ეჰ, ნუთუ, ნუთუ ვერ შენიშნავენ
და ორთქლმავალი უცებ გათელავს?!
მატარებელი თუ ვერ გადარჩა?..
ო, არა თვითონ დაიღუპება.
ორთქლმავლის ორთქლი თეთრი, ქათქათა
მის წინ რელსებზე წვება ღრუბლებად.
კვამლისგან თვალში ცრემლები ბრწყინავს,
მირბის, გარშემო ვერაფერს ხედავს.
შენიშნეს... უცებ ნათელას წინა
მატარებელი კივილით შედგა.
ეს ღამით იყო. ნახეთ დილით კი
პაპას, ნათელას როგორ ჰკოცნიან.
აი დეპეშაც: «შვილიშვილისთვის
მადლობა. ჯილდო მოგვილოცია».
ღამის ამბავი ლხინმა წარეცხა,
კვლავ სამოვარმა დაჰკრა ნაღარა
და საუბარში თქვა ცეცხლფარეშმა,
დიდულვაშება კაცმა ჭაღარამ:
«ლამის მტრის ბინძურ ხელით დავეცით,
ღამის ამ დილით შავად გათენდა,
მაგრამ, ჩვენს ბედზე, ზამთრის ღამეშიც
ბრწყინავს ასეთი ციცინათელა!»

ლექსები თარგმნა
იოსებ ნონეშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

### 125 წელი ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადებიდან

# დიდი რუსი მოაზროვნე და რევოლუციონერი



რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში გასული საუკუნის სამოციან წლებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს იყო რუსი ხალხის ინტელექტუალური ძალების გაფურჩქვნისა და რევოლუციური აზროვნების უჩვეულო განვითარების პერიოდი. რუსმა სამოციანელებმა მთელი ეპოქა შექმნეს. მათ თავიანთი პროგრესული შეხედულებებით მოწინავე კაცობრიობის ყურადღება მიიქციეს და ძლიერი გავლენა მოახდინეს რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობაზე. რუს სამოციანელთა ბრძოლებითა და მოწინავე შეხედულებებით აღფრთოვანებული მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ რევოლუციამ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლაო და ბობოქარ რუსეთს, მემამულურ-თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთს იმედის თვალით შეჰყურებდნენ. დიდმა ლენინმა სამოციანი წლების მებრძოლი რევოლუციური ინტელიგენცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად გამოაცხადა.

და აი, მთელი ამ რევოლუციური მოძრაობისა და მოწინავე ინტელიგენციის სათავეში იდგა ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი — მრავალმხრივი მოაზროვნე და შეუდრეკელი ნებისყოფის რევოლუციონერი. იგი გიგანტური პიროვნება იყო. არ დარჩენილა იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების არც ერთი სფერო, რომ მას თავისი ძლიერი კვალი არ დაეჩნიოს. ის იყო ბრწყინვალე ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, მწერალი და მეცნიერი.

ნ. გ. ჩერნიშევსკიმ სწრაფად მიიქცია საყოველთაო ყურადღება. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ყველასგან აღიარებული მოწინავე და დიდი რევოლუციონერი გახდა. თვით მტრებიც კი გრძნობდნენ ჩერნიშევსკის გონების გიგანტურ ძალას და შიშით ძრწოდნენ მის წინაშე. ახალგაზრდა ჩერნიშევსკის უფროსებიც კი თავის მასწავლებლად სთვლიდნენ და მუდამ სჯეროდათ მისი.

ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკიმ მძიმე, მაგრამ მეტად შინაარსიანი ცხოვრების გზა გაიარა. იგი დაიბადა 1828 წლის 12 ივლისს (ძველი სტილით), სარატოვში. პირველდაწყებითი განათლება ჩერნიშევსკიმ არსებითად ოჯახში მიიღო. თექვსმეტი წლისა, იგი სარატოვის სემინარიაში შევიდა. აქ მას დიდხანს არ დაუყვია. ორი წლის შემდეგ ფართო განათლებას მოწყურებული ახალგაზრდა ჩერნიშევსკი თავს ანებებს სარატოვის სემინარიას, მიდის პეტერბურგში და სწავლის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში შედის. უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩერნიშევსკის ცხოვრებაში. აქ ჩაეყარა საფუძველი მწერლის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და ლიტერატურულ შეხედულებებს. აქ, პეტერბურგში სწავლის პერიოდში ჩერნიშევსკიმ საბოლოოდ მტკიცედ შეიმუშავა რევოლუციური მსოფლმხედველობა.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩერნიშევსკის მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უნივერსიტეტმა, მაგრამ მთავარი როლი მის ცხოვრებაში მაინც დამოუკიდებელმა თვითგანვითარებამ შეასრულა. ჩერნიშევსკი ვერ დააკმაყოფილა იმ ცოდნამ, რასაც მას უნივერსიტეტის კათედრიდან აწვდიდნენ. თვრამეტი წლის ახალგაზრდა გატაცებით დაეწაფა წიგნებს და სულ მალე საფუძვლიანად შეისწავლა ფილოსოფია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნ. გ. ჩერნიშევსკი მიდის მშობლიურ სარატოვში და ხელს ჰკიდებს პედაგოგიურ მუშაობას. სარატოვში ყოფნისას ჩერნიშევსკი თავის გარშემო იკრებს თანამოაზრეებს, ქმნის მათგან ვიწრო წრეს და იწყებს სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხების დამუშავებას. მაგრამ ახალგაზრდა ჩერნიშევსკის მშფოთვარე სული და მღელვარე ინტერესი ამით არ კმაყოფილდება, მის ყურადღებას იქცევს გლეხთა აუტანელი ტანჯვა და მონური ცხოვრება, იგი აკვირდება გლეხთა მდგომარეობასა და განწყობილებას რეფორმის წინ, აგროვებს და სწავლობს უამრავ მასალას გლეხთა საკითხის გარშემო.

1853 წლიდან ნ. გ. ჩერნიშევსკის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება; იგი ბრუნდება პეტროგრადში, ხელს ჰკიდებს პროფესიულ ლიტერატურულ მოღვაწეობას, უკავშირდება მოწინავე ინტელიგენციას და მისი ბელადი ხდება. დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატმა პოეტმა ნ. ნეკრასოვმა ჩერნიშევსკი გაცნობისთანავე ჟურნალ „სოვრემენნიკის" მუდმივ თანამშრომლად მიიწვია. ჩერნიშევსკის შემდეგ ამ ჟურნალში მალე მოვიდა დობროლიუბოვიც. ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის ხელმძღვანელობით „სოვრემენნიკი" გადაიქცა რევოლუციურ-დემოკრატთა მებრძოლ ორგანოდ. ამ პერიოდიდან ნ. გ. ჩერნიშევსკი ნაყოფიერ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ და პუბლიცისტურ მუშაობასთან ერთად ფართო პრაქტიკულ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწევა; კავშირს ამყარებს პროლეტარულ რევოლუციურ ორგანიზაციასთან, საზღვარგარეთ მიდის და მოლაპარაკებას იწყებს გერცენთან მეფის მთავრობის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ, ფართოდ ეხმაურება მომავალი საგლეხო რეფორმის შესახებ გამართულ მსჯელობას, ხოლო შემდეგ სავსებით ამხელს რეფორმის ანტიხალხურ, მემამულურ ხასიათს.

6604

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი აღფრთოვანებაში მოიყვანა რუსი მოაზროვნის საღმა და ღრმა მეცნიერულმა შეხედულებებმა. მარქსმა ჩერნიშევსკის უწოდა „დიდი რუსი მეცნიერი და კრიტიკოსი", რომელმაც ოსტატურად გააშუქა „ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრება".

ნ. გ. ჩერნიშევსკი როგორც თავისი პუბლიცისტური წერილებით, ისე მხატვრული ნაწარმოებებით და პრაქტიკული მოღვაწეობით ასწავლიდა ხალხს, რომ ბედნიერი მომავალი თავისთავად არ მოვა, რომ იგი მოპოვებულ უნდა იქნეს ბრძოლით. ჩერნიშევსკის ბრწყინვალე რომანი „რა ვაკეთოთ" სწორედ აქეთკენ მოუწოდებდა ხალხს და კონკრეტული მხატვრული სახეებით უჩვენებდა თუ გაბატონებულ რეჟიმთან ბრძოლაში როგორი თავდადებული, უშიშარი და შეუპოვარი უნდა ყოფილიყო ის, ვინც ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობდა, ვისაც მკერდში ადამიანური გული უცემდა და პატიოსნება შერჩენოდა.

მეფის მთავრობამ ჩერნიშევსკში საშიშზე-საშიში მტერი დაინახა და გადაწყვიტა მოესპო მისთვის თავისუფლება, ჩაეკეტა ციხის კედლებში, რათა მისი ხმა ხალხს აღარ მისწვდომოდა. მაგრამ ეს მან ვერ შესძლო. მართალია, 1862 წელს ნ. გ. ჩერნიშევსკი მეფის მთავრობამ დააპატიმრა, პეტრეპაველოვსკის საპყრობილეში მოათავსა და სასტიკი მეთვალყურეობა დაუწესა, მაგრამ იგი ხალხისაგან მაინც განუყრელი დარჩა. ციხის ბნელი ჯურღმულიდან დიდი რევოლუციონერის ხმა მაინც აღწევდა ხალხამდე და აღაფრთოვანებდა მასებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსმა რევოლუციონერებმა არაერთხელ სცადეს თავიანთი დიდი მასწავლებელი ციხის ჯურღმულიდან დაეხსნათ, მაგრამ ყოველი ასეთი ცდა მარცხით თავდებოდა. სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე დიდმა რუსმა რევოლუციურმა მოაზროვნემ სიცოცხლე მეფის საპყრობილესა და პოლიციის სასტიკ მეთვალყურეობაში გაატარა. მხოლოდ 1883 წელს, სულიერად მხნეს, მაგრამ ფიზიკურად გატეხილ ნ. გ. ჩერნიშევსკის მეფემ უფლება მისცა ასტრახანში ეცხოვრა, ხოლო 1889 წელს, სიკვდილამდე რამდენიმე თვის წინ, იგი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქ სარატოვში.

ნ. გ. ჩერნიშევსკის ნათელი ხსოვნა, მგზნებარე იდეები და კეთილშობილი საქმე მუდამ ცოცხალი იყო და არის.

სოციალიზმის ეპოქაში, სადაც განხორციელებულია ჩერნიშევსკის წმინდა იდეალები, დიდების შარავანდედით არის მოსილი დიდი რუსი მეცნიერისა და მწერლის სახელი. საბჭოთა ადამიანები მუდამ უსაზღვრო მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ მის ნათელ ხსოვნას.

ერ. ქარელიშვილი

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ოსეევა

ნახ. ვ. ბელეცკაიასი

# ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები

*

ვ. ოსეევამ წიგნისათვის «ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები» (I და II ნაწილი) 1952 წელს მიიღო მთავრობის უმაღლესი ჯილდო — სტალინური პრემია. ორივე წიგნი ქართულად გამოსცა «საბლიტგამმა».

პირველ წიგნში აღწერილია ბავშვების ცხოვრება სკოლასა და ოჯახში. ბევრი საყურადღებო ამბავი ხდება მეოთხე «ბ» კლასში: ახალი მასწავლებლის მოსვლა, ამხანაგების ჩხუბი და ისევ შერიგება, პიონერული ლაშქრობა. მოსწავლეებს აღელვებთ პიონერთა მოვალეობის, პატიოსნებისა და მეგობრობის საკითხები. წიგნი მთავრდება პიონერთა ექსკურსიით უკრაინაში კოლმეურნეობა «ჩერვონა ზირკაში», 1941 წლის ივნისში.

მეორე წიგნში მოთხრობილია რა გადახდათ ბავშვებს უკრაინაში — დროებით ოკუპირებულ სოფელ მაკაროვკაში. უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს არ ავიწყდებათ პიონერის მოვალეობა, თავდადებით იბრძვიან ფაშისტების წინააღმდეგ. მეორე წიგნი მთავრდება იმით, რომ ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები პარტიზანების დახმარებით უბრუნდებიან თავიანთ პატარა ქალაქს.

მესამე წიგნში, რომელიც ახლო მომავალში გამოვა და რითაც მთავრდება ეს დიდი მოთხრობა, ვეცნობით ჩვენი გმირების შემდეგ თავგადასავალს. უკრაინიდან დაბრუნებულ ვასიოკ ტრუბაჩოვსა და მის ამხანაგებს მშობლიური ქალაქი დაბომბილი და სკოლა დანგრეული დახვდებათ. დაიწყება სკოლის მშენებლობა. მის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც მოსწავლეები, აგრეთვე პედაგოგები. ბავშვების წინაშე დიდი სიძნელეებია, მაგრამ სწავლის უდიდესი წყურვილი, პიონერული თავმოყვარეობა და მოვალეობის გრძნობა სძლევს ყველაფერს — ბავშვები იმარჯვებენ.

ვბეჭდავთ რამდენიმე ნაწყვეტს «ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგების» მე-III ნაწილიდან.

*

## მომავალ სკოლაში

ელენა ალექსანდროვნას დახმარებით ლეონიდ ტიმოფეევიჩმა ზუსტად გაუნაწილა ბრიგადებს სამუშაო ნაკვეთი. სამი მეშვიდეკლასელი ბიჭი მღებავისა და მოხუცი მირონიჩის განკარგულებაში მოხვდა. მეექვსე და მეხუთეკლასელებს დაევალათ ღობის გაკეთება. ალიოშა კუდრიავცევმა ტრუბაჩოვის ბრიგადასთან მუშაობა არ ისურვა.

— მე ცალკე ნაკვეთი მომეცით, არ მინდა სხვის სამუშაოზე ვაგო პასუხი, — განუცხადა მან ელენა ალექსანდროვნას.

საერთო შეთანხმების შედეგად ის ადგილი, სადაც მესერი უნდა გაეკეთებინათ, შუაზე გაყვეს. გაყოფის შემდეგ ორივე ბრიგადა შეთანხმდა დავალება დროზე შეესრულებინათ, და კუდრიავცევმა ტრუბაჩოვი შეჯიბრებაში გამოიწვია.

ღუმელების აშენებაში ელენა ალექსანდროვნამ მეოთხე

და მესამე კლასის ბიჭები დაიხმარა. მხოლოდ პაწიებს არ მისცეს დავალება, მაგრამ არც ისინი დარჩნენ უსაქმოდ. მათმა მასწავლებელმა მოფუსფუსე, საქმიანმა ფედოსია გრიგორიევნამ სწრაფად შემოიკრიბა პაწიები. დილიდანვე დადიოდა ეზოში თავისი ბავშვებით და ხან ერთ ბრიგადას მიეტმასნებოდა, ხან მეორეს; თანაც, ასაკის განურჩევლად ყველა მოსწავლეს მიმართავდა: „ბავშვებო“ და „ბიჭუნებო“.

— მაზინ, ბიჭუნი, დე ჩემმა ბავშვებმა თქვენი ნაკვეთი გაასუფთაონ ნაფოტებისაგან! მოდით, მოდით, ბავშვებო, აკრიფეთ! აი ასე!.. ახლა კი სისუფთავე იქნება... აკრიფეთ, აკრიფეთ!

მეორეკლასელები ბელურების გუნდივით მიჰქროდნენ მის ხმაზე, ერთმანეთში ირეოდნენ, ფეხებში ედებოდნენ უფროსებს და მუშაობაში ხელს უშლიდნენ. ბიჭები ბრაზობდნენ. მაზინი საშინლად იბღვირებოდა, მაგრამ ფედოსია გრიგორიევნასთან ჩხუბს აბა რა აზრი ჰქონდა!

— არაუშავს, არაუშავს! ხელს არ შეგიშლიან! ხომ ყველამ უნდა იშრომოს?! — ამბობდა ფედოსია გრიგორიევნა, თან მხრებს იჩეჩავდა და საყვედურით შესცქეროდა ბიჭებს.

— ღუმელის ოსტატთან მიდით, ქვიშაა მისაზიდი! — ეშმაკობით იტყოდა რომელიმე მოსწავლე.

— არაუშავს, არაუშავს, ყველგან მოვასწრებთ მისვლას. უსაქმოდ არ დავრჩებით! ხომ მართალია, ბავშვებო?

— მართალია, მართალია! — ყვიროდნენ მეორეკლასელები!

ნაფოტებს რომ მოკრეფდა, ფედოსია გრიგორიევნა ხმაურით წავიდოდა და მისი ხმა უკვე ეზოს მეორე მხრიდან მოისმოდა:

— ბავშვებო! ბავშვებო!

— წიწილებო! წიწილებო! — აჯავრებდა მაზინი.

* * *

ტრუბაჩოვის ბრიგადა ორ ცვლად მუშაობდა. სანამ ისინი ეკატერინა ალექსეევნასთან მეცადინეობდნენ, პირველ ცვლაში გამოდიოდა ყველა მეხუთეკლასელი; მათ შორის ვასიოკის მარჯვენა ხელი — ვიტკა მეზღვაური. მკვირცხლი და გონებანათელი ვიტკა დაუღალავი მომუშავე იყო. როგორც კი ვასიოკისგან დავალებას მიიღებდა, მიაჩერდებოდა ნახშირივით შავი თვალებით და აჩქარებით უქნევდა თავს იმის ნიშნად, რომ ყველაფერს შეასრულებდა, რასაც კი თხოვდნენ.

„უმცროსების“ ბრიგადას ვასიოკი მსუბუქ სამუშაოს აძლევდა. ამის შესახებ თავიდანვე შეთანხმდნენ ის და მოღუშული ძია მირონიჩი.

ძია მირონიჩმა ბავშვები ირგვლივ შემოიკრიბა და აჩვენა, როგორ უნდა გადაეზომათ ფიცრები, რომ მესერი ლამაზი და ლარგადასმულივით ყოფილიყო.

მან ორი ბიჭი ერთმანეთისაგან რამდენიმე მანძილის მოშორებით დააყენა, უთხრა ჩაცუცქულიყვნენ და მიწის პირზე დაეკავებინათ ლატანი.

— აი, მაგალითად, თქვენ ბოძები ხართ... ლატანი კი ფინი, რომელიც ბოძებს მიეჭედება ზევით და ქვევით, ასე... დავუშვათ ფინები მიჭედილია, მათ შორის მანძილიც გამოზომილია, მაშასადამე შეიძლება მივაჭედოთ ფიცრები. — მან აიღო თხელი ფიცრები, რომლებსაც ბოლოები სამკუთხედებად ჰქონდა წაჭრილი. — აი, ეს გახლავთ ფიცრები მესერისათვის, მაგრამ როგორ მიაჭედებთ, თუკი ერთი გრძელია და მეორე მოკლე?

— წავაჭრით! — მაშინვე მიხვდნენ ბავშვები.

— მართალია, უნდა წააჭრათ, — მირონიჩმა ფიცარი ფინს მიადო და ბავშვებს ცნობისმოყვარეობით შეხედა, — შეიძლება უფრო მაღალი, შეიძლება დაბალიც, ეს იმას გააჩნია, ჩვენ როგორი გვაინტერესებს.

— უფრო მაღალი გავაკეთოთ, თორემ ბიჭები გადაძრომას დაიწყებენ, — ურჩევდნენ მოსწავლეები, რადგან საკუთარი თავის იმედი არა ჰქონდათ.

— ესე იგი, რადგან დაწესებულების თავისებურება ამას მოითხოვს, მაღალს გავაკეთებთ. ახლა სანტიმეტრით ზუსტად გავზომოთ სიმაღლე და ფიცარზე ფანქრით აღვნიშნოთ. ესეც ასე. ეს იქნება ჩვენი საზომი. მივადოთ მეორე ფიცარი, სიჩქარისათვის ზედ შეიძლება მესამეც დავდოთ და ფანქრით აღნიშნულზე ხერხით გადავხერხოთ, — მირონიჩმა ფანქარი ყურსუკან გაირჭო, — გასაგებია? ჰოდა, რაკი გასაგებია, შეუდექით მუშაობას!

ბავშვებმა ხერხებს ხელი დაავლეს, ერთმანეთს დაურიგეს „ზომები“. მირონიჩი აუჩქარებლად აბოლებდა პაპიროსს.

— ოღონდ გახსოვდეთ, მუშაობას წესრიგი უყვარს. არც ერთი სანტიმეტრი არ შეგეშალოთ. თვალის ზომას ნუ ენდობით. არც არსად გვეჩქარება, ჯერჯერობით ბოძებიც არა გვაქვს.

ლეონიდ ტიმოფეევიჩის სიტყვით, ბოძები ჯერ კიდევ „იზრდებოდა“ ტყესაკაფში. მათ ჩამოსატანად საჭირო იყო მანქანა, მანქანა კი არ ჰქონდათ. ლეონიდ ტიმოფეევიჩმა მოითათბირა დურგლებთან და გადაწყვიტა ტყესაკაფში მოეწყო ლაშქრობა, იქ ამოერჩიათ შესაფერისი ხეები, იქვე გაესხიპათ და გადმოსატანად გაემზადებინათ.

ჯერჯერობით კი ტრუბაჩოვმა და კუდრიავცევმა, დრო რომ არ დაეკარგათ, დანიშნეს ბოძების ჩასადგმელი ადგილები, ჩაასვეს პალოები და დაიწყეს ორმოების თხრა. ნიადაგი ქვიანი იყო და მუშაობა გაძნელდა.

— აბა შენ იცი, მეზღვაურო, — გააფრთხილა ვასიოკმა ვიტკა, — სვენებსვენებით, რიგრიგობით თხარეთ, ვინც დაიღლება დაჯდეს და გალუნული ლურსმნები ასწოროს ან ფიცრები გადაზომოს.

— კარგი, — თავი დაუქნია მეზღვაურმა, მაგრამ როგორც კი თავის მეხუთეკლასელებთან მარტო დარჩა, დაავლო ხელი ნიჩაბს, ხელის გულები დაინერწყვა და წარამარა დაჰყვიროდა ამხანაგებს: — ჰეი, დასცხეთ! აბა ტრუბაჩოველებო, ამოთხარეთ მიწა! საზიდრები მოიტანეთ! ვისაც ძალა არა გყოფნით, წადით, გალუნული ლურსმნები ასწორეთ!

ამასთან, მკვირცხლი თვალები წარამარა სოცშეჯიბრებაში გამოწვეული კუდრიავცევის ბრიგადისაკენ მიურბოდა. მეზღვაურმა ზუსტად იცოდა რა ხდებოდა იქ. ყოველ დილით, ყველაზე ადრე, როცა ბალახს ჯერ კიდევ ნამი არ შეშრობოდა, ის სკოლის ეზოში გამოცხადდებოდა. სწრაფად და ზუსტად გასინჯავდა რამდენის გაკეთება მოესწრო დღის განმავლობაში კუდრიავცევს, რამდენი ორმო ამოეთხარა, როგორ დაელაგებინა ფიცრები და როგორ ინახავდა ხელსაწყოებს. სადილის შემდეგ, როცა გაბრწყინებული თვალებით ვასიოკს მოახსენებდა საქმის ვითარებას, მეზღვაური დასძენდა:

— იმათ მეტი ხალხი ჰყავთ. დილაობით წინ გვისწრებენ, დღის ბოლოს კი ვეწევით და ვუთანაბრდებით. მაგრამ ჩვენ მაინც წინ უნდა ვიყოთ!

— არაუშავს. სულ ერთია მალე ისინიც და ჩვენც უსაქმოდ ვიქნებით, ბოძები არა გვაქვს. — უპასუხებდა შუბლშეკრული ვასიოკი.

შენობაში სალებავის სუნი ტრიალებდა. დერეფანში წყლის მღვრიე გუბეები იდგა. იმ ოთახებში, სადაც ღუმელები უკვე გაეკეთებინათ, მუშები ჰერს ათეთრებდნენ და კედლებს ღებავდნენ.

## რადაც არ უნდა დაჯდეს

მას შემდეგ, რაც ბავშვები მეხუთე კლასის მოწაფეთა სიაში შეიტანეს, მათ მთელი ძალღონით დაიწყეს მეცადინეობა. ვასიოკს და მის ამხანაგებს არ შეეძლოთ და არც სურდათ შეგუებოდნენ აზრს, რომ ისინი მეხუთე კლასში ისხდებოდნენ როგორც დარჩენილები. ვასიოკი გახდა; თავმოყვარეობა ელახებოდა. საღამოობით დიდხანს მეცადინეობდა, წიგნით ხელში დადიოდა ოთახში, ხშირად გაკვეთილიც კი გადაავიწყდებოდა და მოულოდნელად წამოიძახებდა: „რადაც არ უნდა დაჯდეს!“

ეკატერინა ალექსეევნას ნებართვით ახლა გაკვეთილს ყოველთვის ვინმე ესწრებოდა მეოთხე „ბ“ კლასის იმ ყოფილი მოსწავლეებიდან, რომლებიც ზამთარში სვერდლოვსკში სწავლობდნენ მეხუთე კლასში. უფრო ხშირად მეცადინეობას ფრიადოსანი მედვედევი ესწრებოდა. პატარა, აბურძგნული ბიჭი, რომელსაც შავი, დაკვირვებული თვალები ამშვენებდა იჯდა დაფასთან, უსმენდა ამხანაგების პასუხებს და განუწყვეტლივ ახამხამებდა წამწამებს. ასწევდა ხელს და შეშინებული იტყოდა:

— პასუხი სწორი არ არის, თუ შეიძლება, მე ვიტყვი...

ეკატერინა ალექსეევნა ნებას დართავდა, და მედვედევს ცარცით გულდასმით გამოყავდა ასოები, ციფრები, ხსნიდა ამოცანას.

ერთხელ როგორღაც ვასიოკმა შინ ვერ მოახერხა მაგალითის გამოყვანა და ეკატერინა ალექსეევნას სთხოვა დაფასთან გამიძახეო. მაგალითი ერთად გამოიყვანეს ბავშვებმა. როგორც ყოველთვის, სწრაფი მოსაზრებით პეტია რუსაკოვი გამოირჩეოდა და მედვედევმა გაკვეთილის შემდეგ სერიოზულად თქვა:

— რუსაკოვი არითმეტიკაში პირველი მიდის. იგი ჩვენთან, სვერდლოვსკის სკოლაში, ფრიადოსანი იქნებოდა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

— ახლა კი ყველა საგანში, გარდა არითმეტიკისა, მე თქვენით კმაყოფილი ვარ, — უთხრა ერთხელ ბავშვებს ეკატერინა ალექსეევნამ.

— არითმეტიკასაც გამოვასწორებთ! — შეპირდა გამხიარულებული პეტია.

## პირველი შემოწმება

ერთხელ ეკატერინა ალექსეევნასთან მოულოდნელად მოვიდა ელენა ალექსანდროვნა. მისმა მოსვლამ რუსაკოვა შეაკრთო და გაახარა კიდეც. ეს იყო დახმარება, რომელსაც დიდი ხანია ელოდა. ელენა ალექსანდროვნა გაკვეთილის დაწყებამდე მოვიდა და სანამ ბავშვები თავს მოიყრიდნენ, მოასწრო ეკითხა ეკატერინა ალექსეევნასთვის: როგორ მიდიოდა სწავლის საქმე, რამდენი დარჩათ გრამატიკაში გასავლელი პროგრამის მიხედვით და რომელ საგანში უფრო უჭირდათ ბავშვებს. თავიანთი მოსწავლეების მოსვლამდე მასწავლებლებმა მოასწრეს გაცნობა და დამეგობრება.

— დიდი ხანია ვაპირებდი ლეონიდ ტიმოფეევიჩთან მისვლას, — თქვა ეკატერინა ალექსეევნამ, — მაგრამ სულ ვფიქრობდი უფრო მეტი მასალა გამევლო და ისე მივსულიყავი.

შემოწმება არითმეტიკით დაიწყეს. პეტია, როგორც ყოველთვის, კარგად პასუხობდა. მაზინი დაფასთან იდგა, დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ როგორც იქნა მაინც ამოხსნა ამოცანა ჩვეულებრივ წილადებზე. დანარჩენები ადგილებიდან ეხმარებოდნენ. ცოდნა ერთნაირი არ ჰქონდათ ბავშვებს. ვასიოკმა ისე გამოიყვანა მაგალითი ათწილადებზე, რომ არ იცოდა ოცდახუთზე გაყოფის წესები.

ელენა ალექსანდროვნა აფორიაქებული იყო, ღელავდა:

— თუ ეკატერინა ალექსეევნას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, არითმეტიკის სწავლებას მე ვიკისრებ, — თქვა მან, — ჩვენ ყოველდღე ორ-ორ საათს ვიმეცადინებთ.

ეკატერინა ალექსეევნას გაუხარდა, მაგრამ როდესაც დაიწყეს მეცადინეობისათვის საათების გამოძებნა, გამოირკვა, რომ ბავშვებს ცოტა დროღა რჩებოდათ საშინაო დავალებების მოსამზადებლად. ვასიოკმა განრიგი უჩვენა.

ელენა ალექსანდროვნამ ყურადღებით წაიკითხა, შემდეგ, შუბლშეკრულმა გადაჭრით გაუსვა ქვეშ ხაზი ჰოსპიტალში მორიგეობას და მშენებლობაზე მუშაობას.

— ჰოსპიტალში ახლა სხვა ბავშვებს გავუშვებთ, დე ახლა მათ შეგცვალონ, სკოლის შეკეთების სამუშაოდანაც მოგხსნით.

ბავშვებს აღელვება დაეტყოთ.

— ჰოსპიტალში კი შეიძლება სხვა გაგზავნოთ, მაგრამ რემონტი — ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა! — განაცხადა ოდინცოვმა.

— ჩვენ მეექვსეკლასელების ბრიგადასთან შეჯიბრება გვაქვს! — თქვა ვასიოკმა, — მალე მოზიდავენ მასალას და საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ჩვენ ვალდებულება ავიღეთ, მესერი გაგვეკეთებინა, უარს ვეღარ ვიტყვით!

— კი, მაგრამ, როდისღა მოასწრებთ სწავლასაც და მუშაობასაც? დრო ცოტა გაქვთ, — არწმუნებდა ელენა ალექსანდროვნა.

— ყველაფერი უნდა მოვასწროთ. საერთოდ, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს ცხოვრებაში არ იყოს სიტყვები: „არ შეგვიძლია“, „ვერ ვასწრებთ!“ — მტკიცედ თქვა ვასიოკმა.

— თქვენ ახლა ერთი მიზანი უნდა გქონდეთ — ჩააბაროთ გამოცდა მეექვსე კლასში. ეს მთავარი მიზანია. გახსოვდეთ: ერთი თვეღა დაგრჩათ — აგვისტო, ხოლო როგორ მოვაგვაროთ თქვენი მუშაობის საკითხი, ამაზე ვიფიქრებ, — თქვა ელენა ალექსანდროვნამ გამომშვიდობებისას.

— გამოცდების შესახებ რა თქვა? განა ჩვენ გამოცდები უნდა ჩავაბაროთ? ჩემი აზრით, პირდაპირ გადაგვიყვანენ მეექვსე კლასში თუ პროგრამას გავივლით, — თქვა პეტიამ.

— მე ერთი რამ ვიცი: რაკი ლეონიდ ტიმოფეევიჩმა თხოვა ელენა ალექსანდროვნას, დაგვეხმაროს, ჩვენ უნდა ყველაფერი დავუჯეროთ, — თქვა საშამ.

როცა ბავშვები ქუჩაში გამოვიდნენ, მაზინმა ქუჩის მეორე მხარეს ვიტია შენიშნა და ტრუბაჩოვს ნიდაყვი გაჰკრა:

— შეხედე, „მეზღვაური“ მოჰქრის თავქუდმოგლეჯით.

— იქნებ რამე მოხდა! — შეწუხდა საშა.

— ვიტკას ყოველთვის ისეთი აბურძგვნილი შესახედაობა აქვს, თითქოს რამე მოხდაო! — გაიცინა ნიურა სინიცინამ.

— ჰეი, ვიტია! — გასძახა ვასიოკმა.

„მეზღვაური“ თხრილს გადმოახტა.

— ტრუბაჩოვ... — თქვა მან, თან სულს ძლივს ითქვამდა, — მათ ბოძები მოიტანეს!

— ვინ — მათ?

— კუდრიავცევმა თავისი ბიჭებით. გზატკეცილზე გენერლის მანქანით მოჰქონდათ, ქალაქში კი ზურგით შემოზიდეს. მათ სურთ გაგვასწრონ! — ვიტიას მოუთმენლობისაგან თვალები უბრწყინავდა, თითქოს ნაპერწკლები სცვიოდა. — ტრუბაჩოვ, გაგვიშვი ტყეში! — ვედრებით დაუმატა მან.

ახალი, მოულოდნელი ამბით თავზარდაცემული ბავშვები ხმას არ იღებდნენ.

— ჩვენ რომ ტყეში წავსულიყავით, — აუჩქარებლად თქვა ტრუბაჩოვმა, — ყველასთვის მოვიტანდით მასალას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო ჩვენი ბრიგადისათვის, იმიტომ, რომ მშენებლობა საერთო საქმეა. კუდრიავცევი ჩემი მაგალითი არ არის. არა მსურს მივბაძო!

ვიტიამ მძიმედ ამოიოხრა და თავი ჩაქინდრა. ეზოში კუდრიავცევის ნაკვეთზე გამზადებული ბოძები ეწყო. ბოძების ბოლოები სქლად დაეფარათ ფისით. იქვე მახლობლად ახალი ფინები ეყარა. ბავშვებით გარშემორტყმული კუდრიავცევი რაღაცაზე გაცხოველებით კამათობდა.

— უპატიოსნო ხალხი! — მოღუშვით თქვა მაზინმა.

მეექვსე კლასის ბრიგადას მოულოდნელად გამოეყო ტიშინი, ტრუბაჩოვს მიუახლოვდა და თავაზიანად უთხრა:

— კუდრიავცევმა ბოძები და ფინები მოიტანა, შემოგვთავაზა გაგინაწილებთო. ტრუბაჩოვ! შეგიძლიათ აიღოთ ერთი ბოძი და ორი ფინი!

ტიშინი ცდილობდა გამარჯვებულის ღიმილი დაემალა. ტრუბაჩოვმა ზიზღით გაზომა ის თავიდან ფეხებამდე.

— დამეკარგე აქედან! — ხმადაბლა, რისხვით უთხრა მან და გვერდზე ჩაუარა. — იმას გვთავაზობენ, რითაც არ შეიძლება მუშაობის დაწყება. ერთი ბოძი! — განმარტა ამხანაგებისაკენ მიბრუნებულმა.

როცა ტიშინი კუდრიავცევთან დაბრუნდა, მას ტრუბაჩოვის ყოფილი თანაკლასელები შემოეხვივნენ.

— რაო, რა თქვა? აიღებს? — მიაყარეს კითხვები.

ალიოშა მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— უარი თქვა, — უპასუხა ტიშინმა და ოფლიანი სახე ხელის გულით მოიწმინდა.

ბავშვებმა კუდრიავცევს შეხედეს.

— რაო? ხომ გეუბნებოდით! აბა რისი ტრუბაჩოვი იქნებოდა, რომ უარი არ ეთქვა!

ლიონია ბელკინი, მედვედევი და ნადია გლუშკოვა ალიოშასთან მივიდნენ:

— ჩვენ არ ვიმუშავებთ!

— არც ჩვენ! — ბანი მისცეს სხვა ბავშვებმაც.

— ჩვენ უარს ვაცხადებთ მუშაობაზე, სანამ ყველასათვის არ მოიტანენ მასალას! — აყვირდნენ ირგვლივ.

კუდრიავცევმა იფეთქა:

— ჩვენ პატიოსნად მოვზიდეთ ბოძები! მთელ ქალაქზე ზურგით მოვათრევდით. იმათაც შეუძლიათ მოიტანონ თავისთვის.

— ტყუილია! თქვენ მანქანით მოგქონდათ, მხოლოდ ქალაქში წამოიღეთ ხელით.

— ბავშვებო, წამოდით ტრუბაჩოვთან! დე, იმან გვითხრას ვიმუშაოთ თუ არა! — ყვიროდა ნადია გლუშკოვა.

ბავშვები ტრუბაჩოვისაკენ გაქანდნენ. ვასიოკი და მისი ამხანაგები რკინის ყუთებში საღებავს ხსნიდნენ. აღელვებული მეექვსეკლასელები ვასიოკს მიუახლოვდნენ.

— აი, ბელკინი და მედვედევი უარს ამბობენ მუშაობაზე, გოგონებიც, ჩვენც... — ერთმანეთს აღარც აცლიდნენ ისინი.

— ყოჩაღ! — ვეღარ მოითმინა მაზინმა.

მაგრამ ვასიოკმა ცივად შეხედა ამხანაგებს და წარბი შეიკრა.

— რა ხანია, რაც დისციპლინა დაივიწყეთ? თქვენ გყავთ ბრიგადირი და მოვალენი ხართ მას გაუგონოთ!

— კი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის სწორად არ მოიქცა, — დაიმორცხვა ნადია გლუშკოვამ.

— მან შემოგვთავაზა ერთი ბოძი და ორი ფინი. ორი ბოძის გარეშე კი ვერაფერს გააკეთებთ! — გაჯავრებით დაიყვირა ლიონია ბელკინმა.

— რა თქმა უნდა, ვერაფერს! თავისთვის სამი ბოძი დაიტოვა, ეშმაკია...



— თქვენ ახლა ერთი მიზანი უნდა გქონდეთ—ჩააბაროთ გამოცდა მეექვსე კლასში. ეს მთავარი მიზანია.

— ეს სულ ტიშინი ატრიალებს თავის ნებაზე! — ახმაურდნენ ირგვლივ.

— მე ყველაფერი მესმის, — რბილად თქვა ვასიოკმა, — მაგრამ დისციპლინა არ უნდა დავარღვიოთ. წადით, იმუშავეთ! ბელკინ, აღადგინე დისციპლინა!

ბავშვები ნელა წავიდნენ. ვასიოკი თავის ამხანაგებს მიუბრუნდა:

— თუ ახლა ელენა ალექსანდროვნამ სამუშაოს მიტოვება გვიბრძანა, კუდრიავცევი იფიქრებს, რომ შევშინდით, — თქვა მან წყენით.

— არა, ამაზე არც ერთი ჩვენგანი არ დათანხმდება, არაფრის გულისთვის! ტყავში გავძვრებით და არ დავუთმობთ — დაიყვირა მაზინმა.

— ახლა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ სოცშეჯიბრებაში, — ჯიუტად თქვა საშამ.

— მაშინ გულახდილად უნდა განვუმარტოთ ელენა ალექსანდროვნას და ის ყველაფერს გაგვიგებს! — შესთავაზა სევამ.

— ვიტია! — თხოვა ოდინცოვმა. — აირბინე ზევით, ნახე სად არის ელენა ალექსანდროვნა, ასე თქვა დღეს პიონერთა ოთახი უნდა მოვაწყოთო...

ბავშვებმა დერეფანი გაიარეს. ქვედა სართულის რემონტი უკვე დამთავრებული იყო. სუფთად გარეცხილ იატაკზე გაზეთები დაეფინათ. პიონერთა ოთახის კარი ფართოდ იყო

გალებული. ბავშვები შევიდნენ. მაგიდაზე გროვად ეყარა სათამაშოები, წიგნები, პლაკატები. ახალშელებილი თეთრი კედლები ჯერ ისევ ცარიელი იყო. მხოლოდ ერთ კედელზე, ძველი სკოლიდან გადმოტანილი სავარძლის ზემოთ, მოჩანდა სტალინის დიდი პორტრეტი.

## ოდინცოვის დღიური

ბავშვებმა დაავალეს კოლია ოდინცოვს დაემთავრებინა წერა დღიურისა, რომელიც მის უკრაინაში ყოფნის ამბებს ეხებოდა. ეს დავალება კოლიამ სიხარულით მიიღო. ყოველ საღამოს, გაკვეთილებს რომ დაამთავრებდა, გვიანობამდე უჯდა თავის მუშამბაგადაკრულ რვეულს, ხან მოგონებებით იყო შეპყრობილი, ხან კი აჩქარებით იწერდა მომხდარ ამბებს. კოლიამ წაიკითხა ყველა ადრინდელი ჩანაწერი, შეავსო ზოგი მათგანი და ხელმეორედ გადაწერა არც თუ ისე დიდი ხნის წინ მომხდარი მძიმე ამბები. კოლია ოდინცოვი ღელავდა; იგი წამოხტებოდა, ოთახში ბოლთასა სცემდა, ან ფიქრში წასული იყურებოდა წინ, ვერაფერს კი ვერა ხედავდა ირგვლივ.

— რა მოგივიდა, კოლენკა? რასა წერ ერთთავად! სანათიც კი გიქრება... ეს რა გაკვეთილებია ასეთი? — ეკითხებოდა ბებია შვილიშვილს.

კოლია აჩქარებით დაკეცავდა რვეულს:

— ისე, ბებია, რაზმმა ერთი სამუშაო დამავალა, ზოგი რამ უნდა ჩავწერო.

ერთ საღამოს კოლიამ თავის საწერ მაგიდასთან მიუსწრო ბებიას. იგი მალ-მალე იხოცავდა ცხვირს სველი ცხვირსახოცით, ცრემლით დაწინწკლული სათვალე ცხვირზე ჩამოეწია და კოლიას დღიურს კითხულობდა.

— ბებია! — მივარდა კოლია. — აბა, რასა შვრები?

— ვტირი... — საბრალოდ თქვა მოხუცმა და შვილიშვილს მიაპყრო ქუთუთოებდაწითლებული ცისფერი თვალები, — ვტირი, კოლენკა... შენ არაფერი გიამბნია ჩემთვის, რაც უკრაინაში გადაგხდათ, ახლა კი აი, გავიგე... დაჯექი, გენაცვალე, დაწერე შემდეგ რა მოხდა, დაწერე, დაწერე!

აღელვებული კოლია ხელებს იქნევდა.

— ვინ გეხვეწებოდა წაიკითხეო! ყოველთვის რაღაცას მოიგონებ ხოლმე, ბებია!

მაგრამ ბებია უკვე სამზარეულოში ფუსფუსებდა, კოლიას ვახშამს უმზადებდა. დაპატარავებული, განვლილ წელთა სიმძიმისაგან წელში მოხრილი ბებია ქურასთან იდგა და ტიროდა.

— ღმერთო ჩემო, ან კი რად ხდება ქვეყანაზე ასეთი საშინელებანი! აღმდგარიყო ყველა ერთი კიდიდან მეორემდე, გაენადგურებინათ ეს ფაშისტები დედა-ბუდიანად! — ესმოდა კოლიას მოხუცის მრისხანე წყევლა-კრულვა.

ამის შემდეგ, ყოველ საღამოს, როცა კოლია შინ ბრუნდებოდა, ბებია ნამტირალევი ხვდებოდა. ვერაფრით ვერ წაართვა დღიური, და ბიჭუნა ჩქარობდა მალე დაემთავრებინა წერა, რომ სკოლაში წაეღო.

— კითხულობს... — ჩიოდა იგი ამხანაგებთან, — რომ გადავუმალო, ეწყინება...

— დღეს კოლია შედარებით ადრე დაბრუნდა შინ, შუაღამემდე იჯდა და უკანასკნელად მომხდარ ამბებს იწერდა. დილით, ჯერ კიდევ მეცადინეობის დაწყებამდე, მიირბინა სკოლაში და დღიური პიონერთა ოთახში მრგვალ მაგიდაზე დადო. მეცადინეობის დროს კი ტრუბაჩოვს უთხრა:

— დღიური მოვიტანე. იქნებ საღამოს შინ წაიღო და შეამოწმო!

— როგორმე ყველანი ერთად შევიკრიბოთ და წავიკითხოთ! — უპასუხა ვასიოკმა. — დე, ჯერ იქ იდოს.

## საბოლოო შემოწმების შემდეგ

ელენა ალექსანდროვნამ იმედისა და შიშის გრძნობით დაამთავრა ბავშვების ცოდნის შემოწმება ყველა საგანში. თხრობამ და კარნახმა იგი ნამდვილად გაახარა. ისტორია, გეოგრაფია და ბოტანიკაც არ ჰქონდათ ბავშვებს ცუდად შეთვისებული. ეკატერინა ალექსეევნას ერთი თვის განმავლობაში სავსებით შეეძლო მოესწრო ბავშვებისთვის ცოდნის განმტკიცება. ამ საგნებში ყველაზე მეტ შეშფოთებას ძველებურად ისევ არითმეტიკა იწვევდა.

ელენა ალექსანდროვნამ დაწვრილებით აუწერა დირექტორს საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

— და მიუხედავად ამისა, — დასძინა მან, — მე მგონია, თუ არითმეტიკაში მე თვითონ ვამეცადინებდი მათ ყოველდღე ორ-ორ საათს, ხოლო ეკატერინა ალექსეევნა დანარჩენ საგნებში, ჩვენ ერთად მოვასწრებდით მათ მომზადებას.

დირექტორმა აღელვებით დაიწყო ოთახში სიარული:

— მომიტევეთ! ასეთი სურათი გამოდის, რომ არითმეტიკაში სუსტები არიან და დანარჩენ საგნებშიც სავსებით ვერ ყოფილან მზად. ზაფხული ისე გავიდა, რომ არ დაუსვენიათ. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ასეთი დატვირთვის და არც თქვენ გირჩევთ მხარი დაუჭიროთ ბავშვების ცრუ იმედებს. სჯობია ეცადოთ დაარწმუნოთ ისინი, რომ არაფერი საშინელება არ მოხდება თუ მეხუთე კლასში დარჩებიან.

ლეონიდ ტიმოფეევიჩი შეჩერდა, შეხედა ელენა ალექსანდროვნას მაგრად მოკუმულ ტუჩებს და ხელი ჩაიქნია:

— ჩემთან გამოგზავნეთ ისინი, მე თვითონ მოველაპარაკები.

ელენა ალექსანდროვნა ოთახიდან ჩუმად გავიდა.

იმ ორი გაკვეთილის განმავლობაში, რომლებიც ელენა ალექსანდროვნამ ჩაუტარა მათ, ტრუბაჩოვმა და მისმა ამხანაგებმა უცებ იგრძნეს მასში ნამდვილი მასწავლებელი. არც ერთი წუთი არ ეკარგებოდა ელენა ალექსანდროვნას, ყოველ შეცდომაზე ჩერდებოდა და იქვე, მაშინვე არკვევდა და ასწორებდა ბავშვებთან ერთად, რითაც მათ მეხსიერებაში სწორ პასუხს ნერგავდა.

— შესანიშნავად გვასწავლის! — აღტაცებით ამბობდა მაზინი. — თითქოს ლურსმანივით გვიჭედებს თავში ცოდნას!

ბავშვები გამხიარულდნენ, გამხნევდნენ; ახალი მასწავლებლის ყოველ სიტყვას იჭერდნენ, მადლიერი თვალით შესცქეროდნენ თვალებში.

— მე მხოლოდ მისი შემოწმების შემდეგ გავიგე, რა ვიცით და რა არა. სერიოზულად თქვა საშამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნიშვნელოვანი საუბარი

ბავშვები სკოლის შენობისაკენ მირბიან. კიბეზე ფეხაკრეფით ადიან, სამასწავლებლოს წინ ჩერდებიან და ნახევრადშეღებულ კარში იყურებიან. დირექტორი მაგიდას უზის, ნიკაპით ხელს დაყრდნობია და ჩაფიქრებულა.

— ზის... — ჩურჩულებს მაზინი.

— ზის? — შიშით ეკითხება პეტია რუსაკოვი.

ლეონიდ ტიმოფეევიჩი მათკენ მოაბრუნებს თავს:

— მანდ რას ჩურჩულებთ? აქ მოდით!

ბავშვები ერთიმეორის მიყოლებით შედიან სამასწავლებლოში.

— დასხედით, — ამბობს ლეონიდ ტიმოფეევიჩი და ტყავის ფართო სავარძელზე უთითებს, — მე თქვენ სერიოზულად უნდა მოგელაპარაკოთ, და აი, რაზე...

ყველა ფრთხილად ჩამოსხდება სავარძელზე. ვასიოკი თვალებგაშტერებული შესცქერის დირექტორს და მღელვარებით უცემს გული. რაზე უნდა ლეონიდ ტიმოფეევიჩს მოლაპარაკება?

დირექტორი ხელში შეათამაშებს ფანქარს. თაფლისფერ თვალებს მოჭუტავს და ჩუმად იმეორებს:

— დიახ, აი რაზე... მე ელენა ალექსანდროვნამ გადმომცა, რომ თქვენ ბეჯითად მეცადინეობთ. ვიცი, აგრეთვე, რომ ისეთ სერიოზულ საგანში, როგორიც არითმეტიკაა, ჯერ ვერ შესძელით ცოდნის სათანადოდ განმტკიცება...

— ახლა ვმეცადინეობთ, — აჩქარებით ჩაურთო პეტია რუსაკოვმა.

დირექტორმა ხელის მოძრაობით შეაჩერა იგი:

— თქვენ ყოველთვის „ფრიადოსნები“ იყავით. მე მგონია, ჩვენი საერთო სურვილია, რომ თქვენ მომავალშიც „ფრიადზე“ ისწავლოთ. ამიტომ წინადადებას გაძლევთ თავს ძალას ნუ დაატანთ ახლა და შეეჩვიეთ იმ აზრს, რომ მეხუთე კლასში დარჩებით.

დირექტორმა ბავშვებს შეხედა. ისინი ჩუმად ისხდნენ, ვერ გაებედათ ჩარეულიყვნენ საუბარში, მაგრამ სახეზე გადაჭრით აღბეჭდოდათ პროტესტი.

— სწავლის დაწყებამდე ერთი თვეღა დარჩა. დაფიქრდით ჩემს წინადადებაზე, შეეგუეთ იმ აზრს, რომ მეხუთე კლასში რჩებით და გულდამშვიდებით დაისვენეთ სწავლის დაწყებამდე. კარგად დაფიქრდით: მართალია, ერთი წელი დაგეკარგებათ, მაგრამ სამაგიეროდ მეხუთე კლასის ნამდვილ ცოდნას მიიღებთ...

დირექტორი ძალიან აღერსიანად ლაპარაკობდა, ჩერდებოდა, თითქოს პასუხს ელოდა, მაგრამ ბავშვები ჯიუტად გასუსულიყვნენ.

— უნდა გაიგოთ, რომ მეც გულწრფელად ვისურვებდი გადასულიყავით მეექვსე კლასში. მე პატივს ვცემ თქვენს თავგამოდებას და ძალიან მადლობელი ვარ ეკატერინა ალექსეევნასი, რომელიც თქვენთან მეცადინეობდა, მაგრამ ვხედავ, რომ ეს თქვენს შესაძლებლობას აღემატება.

— ჩვენ არ დავრჩებით, — ჩუმად და გადაჭრით თქვა ვასიოკმა.

დირექტორმა ხელები გაასავსავა:



— გამოცდებს ჩავაბარებთ,—მტკიცედ გაიმეორეს ამხანაგებმა.

— მაშინ მოგიწევთ გამოცდების ჩაბარება, ვინც ჩააბარებს, ის იქნება მეექვსე კლასში, ვინც ვერ ჩააბარებს, მეხუთეში დარჩება.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

ვასიოკი ნელა წამოდგა:

— გამოცდებს ჩავაბარებთ...

— გამოცდებს ჩავაბარებთ, — მტკიცედ გაიმეორეს ამხანაგებმა და წამოდგნენ.

— კარგი, წადით! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა ლეონიდ ტიმოფეევიჩმა და თავისდაუნებურად მაგიდაზე ნივთები მისწი-მოსწია.

ბავშვები ისე გამოვიდნენ სამასწავლებლოდან, რომ ერთმანეთისთვის არ შეუხედიათ. როცა კარი მიიხურეს, დირექტორი აღელვებით გადაწვა სავარძლის საზურგეზე: „ყოჩაღ! მაგარი ხალხია!“

ერთი წუთის შემდეგ სამასწავლებლოში შევიდა ელენა ალექსანდროვნა.

— დამამარცხეს! — უთხრა ლეონიდ ტიმოფეევიჩმა და ხელები გაშალა. — განაგრძეთ მეცადინეობა!

თარგმნა ელ. გოგოლაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ქ. გოგიაშვილი

ნახ. გ. ფოცხიშვილისა

# პიონერული ზაფხული



1.

რა ხმაურია ეზოში,
რა ჟრიამული ისმის?
რაზმი კალათბურთს თამაშობს,
ნიკა ბურთს მაღლა ისვრის.

ჰაუ, ზედიზედ ჩაჰყარა,
ტოლი არა ჰყავს, ტოლი,
გუნდმა თამაში მოიგო;
36 : 0.

ჰაერში შეაზრიალეს,
მაღლა ისროლეს ნიკა,
კაპიტანია ცნობილი,
ასეთი ბიჭი ვინ გვყავს?!

ნიკასგან ყველა კარგს ელის,
ვახტანგი ასე მღერის:

«სადაც ნიკა ურევია
გამარჯვებაც ულევია».

რაო? არ იცნობთ მარჯვე ბიჭს?
ჰო, რა ბიჭია მერე,
წარმოდგენების დამდგმელი,
მოლექსე, მოსიმღერე,

მისგან დარგულმა ნერგებმა
ტოტები მოიღერეს.

არა, ჩვენს ქუჩას არა ჰყავს
მასზე ბეჯითი ბავშვი,
სულ ხუთოსანი იქნება
ნიკა მეშვიდე კლასშიც!

2.

ზაფხული დადგა თუ არა
ნიკა სად არის? არ ჩანს,
იგი ოთახში გეგმას წერს,
ნიკა ქალაქში დარჩა.

შემოიკრიბა ბავშვები
რეზო, ვახტანგი, გელა,
ბანაკი გახსნეს ეზოში,
მხიარულია ყველა.

მაღალი ანძა აღმართეს,
ზუსტი აქვთ დრო და წესი;
ნახეს მთავრობის სასახლე,
სტამბა, ორთაჭალჰესი...

დილით, მუსიკის ხმა ისმის,
აქ შეკრებილა ყველა,
ბევრნი არიან ბიჭები,
ვარჯიშს ატარებს გელა.

კედლის გაზეთი ამშვენებს
გაკრიალებულ ეზოს,
მედპუნქტის გამგედ ნიშნავენ
სასეცქრიალა ქეთოს.

ყოჩაღ-ყოჩაღი ბიჭები
პატაკს აძლევენ ნიკას,
ეხმარებიან მეზობლებს,
საქმედ აქცევენ სიტყვას.



მზადებაშია ბანაკი,
მღერის შეწყობილ ხმაზე;
ხვალ, განთიადზე, უკლებლივ
მიდის თბილისის «ზღვაზე».

3.

რა ხარხარია ეზოში,
რა ჟრიამული ისმის?
შეჯიბრებაა? მაშ რატომ
ბურთს მაღლა არვინ ისვრის?!

არა, თამაში არ არის,
ეზოში სულმთლად ბნელა,
ნიკა ბანაკს და მეზობლებს
კინოს უჩვენებს ყველას.

მთვარე რომ ამოცურდება,
და ეზოს მშვიდად სძინავს,
ხუთქიმიანი ვარსკვლავი
მაღლა ანძაზე ბრწყინავს.

როცა იტყვიან: — ეს ბიჭი
ჩემი შვილივით მიყვარს, —
ყველანი გადახედავენ
სახემომღიმარ ნიკას!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანდრო ლომიძე

ნახ. კ. მახარაძისა

# ერთი დღე ანტარქტიკაში

(მეზღვაურის ნაამბობი)

ანტარქტიკის ხანმოკლე ზაფხულის განმავლობაში საოცრად მრავლდება პაწია წყალმცენარე. ამ მცენარის გამო წყლის ზედაპირი მწვანედ გამოიყურება. წყალმცენარეს ეტანება შავთვალა, პატარა კიბო. იქ ხშირად თავს იყრის იმდენი კიბო, რომ წყლის უზარმაზარ ფართობს ხან ყვითელი, ხან კი წითელი ელფერი გადაჰკრავს. კიბო ვეშაპის საყვარელი საკვებია. იმ ხანებში ვეშაპები სტოვებენ თბილ წყლებს და სამხრეთისაკენ მიეშურებიან, რათა კიბოებს მუსრი გაავლონ. ვეშაპებთან ერთად მაშინ იქ თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნის ვეშაპთმონადირე ფლოტილიები და ნადირობენ ოკეანის ამ უშველებელ ცხოველებზე.

წინათ ანტარქტიკაში არავინ მიემგზავრებოდა სანადიროდ, რადგან ვეშაპები თბილ ზღვებსა და ოკეანეებში ბევრი იყო. კაპიტალისტური ქვეყნების გაუმაძღარი მეთევზეები ბარბაროსულად ჟლეტდნენ ვეშაპებს. თბილ წყლებში, სადაც რამდენიმე ათეული წლის წინათ ოკეანეს ლაღად მიაპობდნენ და ნებივრობდნენ ვეშაპები, დღეს ვერც ერთს ვერ ნახავთ.

* * *

ზაფხული იყო, თუმცა მზეს იშვიათად თუ მოვკრავდით თვალს. დღეში რამდენჯერმე იცვლებოდა ამინდი. ხან წვიმდა, ხან თოვდა და ძლიერი ქარი ქროდა, ხანაც ისეთი ბურუსი იდგა, რომ ვერაფერს ვხედავდით.

რვა საბჭოთა ვეშაპთმონადირე კატარღა სერავდა ყინულის ნამსხვრევებითა და აისბერგებით სავსე ოკეანეს. შორს მოჩანდა ჩვენი დიდი გემი „გამარჯვება“. კატარღები იმ გემისაკენ ეზიდებოდნენ მოკლულ ვეშაპებს. გემზე ჰრიდნენ ვეშაპებს, მის ქონს ადნობდნენ...

კატარღა, რომლის მეთაურიც ვიყავი, რამდენიმე საათის განმავლობაში მიაპობდა ზვირთებს. ვეშაპებს ვეძებდით, მაგრამ ამაოდ. ანძის წვერზე მიმაგრებულ კასრში მჯდომმა ივანოვმა გადმომძახა:

— ვხედავ ფრინველებს, დასავლეთისაკენ მიიწევენ. იქ უთუოდ საკვებია და ვეშაპებიც იქნებიან.

მესაჭეს მყისვე ვუბრძანე, — დასავლეთისკენ აეღო კურსი. შემოტრიალდა კატარღა და მთელი სისწრაფით გაეშურა.

ცივი ქარისაგან სახეშეწითლებული, ჰვილთის მსროლელი პანოვი ზარბაზანთან იდგა. დაძაბული, ერთიანად გაწოლილი წინ იყურებოდა, ვეშაპის დანახვის მოლოდინში ღელავდა.

ივანოვს თვალს არ ვაშორებდი. იგი სდუმდა, არც ხელით გვანიშნებდა რაიმეს. კარგა ხანს ვიარეთ. ივანოვმა უცებ ხელი მარჯვნივ გაიშვირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურბინდი მოვიმარჯვე. ვეშაპის მიერ ამოსროლილი შადრევანი ვერსად შევნიშნე. ქარი იტაცებდა ზვირთების ქაფს და წყლის მტვერს აყენებდა. თვალი კარგად უნდა გიჭრიდეს, რომ ასეთ ამინდში ვეშაპის შადრევანი დაინახო. თუ ცისფერი ვეშაპის მიერ ამოსროლილი შადრევანი თორმეტ მეტრამდე აღწევს, კუზიანი ვეშაპის შადრევანი დაბალია. ძლიერ ქარში ვეშაპის შადრევანი ძნელი გასარჩევია ზვირთის შხეფებისაგან.

შადრევანს ვერ ვხედავდი, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვიყავ, რომ ვეშაპისაკენ მივიწევდით. ივანოვის თვალს ყოველთვის ვენდობოდი და არასოდეს მოვტყუებულვარ, მართლაც, ჩქარა რამდენიმე შადრევანი გამოჩნდა. ვეშაპებს რომ მივუახლოვდით, მანქანები დავადუმეთ.

როცა ვეშაპი შადრევანს ზედიზედ ამოასხამს, უნდა იცოდე, რომ იგი მაშინ საფრთხეს არ ელის. ჩვენს მიერ შენიშნული ვეშაპები აგრე როდი მოიქცნენ. შადრევნები ამოაქციეს და დაყვინთეს. მოტორების ხმაურს თუ მოჰკრეს ყური! წყლის სიღრმეში წრე შემოხაზეს, რათა ჩვენგან თავი დაეღწიათ და იქ ამოყვინთეს, სადაც არ ველოდით. ვეშაპს მხედველობა არ უვარგა, სამაგიეროდ სმენა ძალზე მახვილი აქვს. კატარღა ინერციით წინ მიიწევდა, ვეშაპებს უახლოვდებოდა. ვეშაპებმა კვლავ ჩაყვინთეს. მცირე ხნის შემდეგ ერთმა ვეშაპმა ჩვენთან სულ ახლოს ამოარღვია წყალი. პანოვმა ზარბაზანი რომ აახმიანა, სწორედ იმ დროს კატარღის ცხვირი ზევით ააგდო ვეება ზვირთმა. ჰვილთი ვეშაპის მახლობლად დაეცა, მასზე წამოცმული ყუმბარა გასკდა. სამმა დამფრთხალმა ვეშაპმა სწრაფად გასჭრა წყალი და მოუსვა. ავამუშავეთ მოტორები და ვეშაპებს დავედევნეთ. შეწუხებული პანოვი თავს აქეთ-იქით აქნევდა, ნანობდა, რატომ დავაცილეო.

გემბანზე ტალღა გადმოდიოდა. ისეთი სიჩქარით მიქროდა კატარღა, რომ მეშინოდა — ტალღას პანოვი არ გადაერეცხა.

ვეშაპებმა მარჯვნივ იბრუნეს პირი. კატარღამაც იცვალა კურსი.

მივდევთ ვეშაპებს. ქარი სახეში გვცემს, კატარღის ცხვირი დროგამოშვებით იმალება წყალში.

გადის საათზე მეტი, ვეშაპებს კი ვერ ვეწევით. ვეწევით კი არა, ვშორდებით. ახალგაზრდა მესაჭე პირველად არის ანტარქტიკაში, გაკვირვებული შემომცქერის, ალბათ გულში ამბობს: ხომ ხედავ, ვეშაპებს ვერ ვეწევი, რატომ ხარჯავ ბენზინსო.

მდგომარეობა თანდათან იცვლება. კატარღა კვლავინდებურად მიქრის, ვეშაპებს კი დაღლილობა ეტყობათ, ძველებურად ველარ მიცურავენ. ჩვენს შორის მანძილი მოკლდება. აი, ვეშაპები უკვე ახლოს არიან. ყვინთავენ. ერთმა სულ ახლოს ამოყვინთა, მაგრამ ივანოვი არ ჩქარობს, იგი ყველაზე დიდის გამოჩენას უცდის. მას ჯერ კიდევ წყლიდან თავი არ ამოეყო, რომ ივანოვმა ესროლა და შიგ გულში გაარტყა. ვეშაპმა ღრმად ჩაყვინთა, მერე ამოვარდა, რამდენსამე წუთს ფართქალებდა, და უცებ ჩაძირვა იწყო. სპეციალური ხელსაწყოთი ვეშაპი ჰაერით დავტუმბეთ, რათა არ ჩაძირულიყო. მერე ზედ ალამი ტარით დავასვით და იმ ორ ვეშაპს გავყევით.

ასე დაიწყო ვეშაპებზე ჩვენი ნადირობის პირველი დღე.



ეროვნული ბიბლიოთეკა





# „ჩუკი და გეკი"

არკადი გაიდარის მოთხრობა „ჩუკი და გეკი" გამოირჩევა განსაკუთრებული სისადავით, სინათლით, პოეტური ლირიზმით, გმირების ურთიერთ დამოკიდებულებაში გულწრფელობითა და ზომიერი, მსუბუქი ჰუმორით. ამით აიხსნება ის დიდი პოპულარობა და სიყვარული, რომლითაც მოთხრობა სარგებლობს ნორჩ მკითხველებში. ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა კუთხეში, ყველა ენაზე კითხულობენ ამ პატარა მოთხრობას ბედნიერი ბავშვები და გულიანად იცინიან. თვით არკადი გაიდარსაც უყვარდა თავისი მოთხრობა: „ახლა რომ მოთხრობასა ვწერ, პატარაა, — წერდა გაიდარი, — მაგრამ სამაგიეროდ მარგალიტივით კრიალა იქნება". მით უფრო ძნელი იყო ამ მოთხრობის ეკრანზე გადატანა. რეჟისორსა და ოპერატორს წინ ედოთ რთული სამუშაო. ეს სირთულე, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ გაიდარის ნათელი, სადა, ცოცხალი ნაწარმოები ეკრანზე არ დაჩრდილულიყო და ისეთივე სისადავე, სინათლე და სიმსუბუქე შერჩენოდა. გაიდარის „ჩუკი და გეკი" ზეპირად იციან ბავშვებმა. ამიტომ ისინი ოდნავ გადახვევასა და დამახინჯებასაც კი შენიშნავენ და არ აპატიებენ რეჟისორს. მეტად ძნელი იყო აგრეთვე პატარა, 5 — 6 წლის „მსახიობების" შერჩევა და ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ მათ მოთხრობის გმირების „ხასიათები გაეხსნათ".

უნდა ითქვას, რომ ფილმის ავტორებმა საპასუხისმგებლო ამოცანას კარგად გაართვეს თავი. ფილმი „ჩუკი და გეკი" ბავშვებმა უკვე შეიყვარეს გაიდარის მოთხრობასავით. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი პატარა „მსახიობების" — იურა ჩუჩუნოვისა და ანდრიუშა ჩილიკინის თამაშს, რომლებიც ფილმში ჩუკისა და გეკის როლებს ასრულებენ. რეჟისორისა და თვით პატარა შემსრულებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩუკისა და გეკის დიალოგში, გამომეტყველებაში, ქცევაში არსად სიყალბე არ შეინიშნება. ალბათ ასეთივე წარმოედგინათ პატარა მკითხველებს მოთხრობის გმირებიც — ჩასუქებული, შედარებით მოუქნელი და ყოველგვარი ნივთების შეგროვებით გატაცებული ჩუკი და უფრო მოძრავი, მოუსვენარი და მეოცნებე გეკი...

ბავშვები ემზადებიან მამასთან გასამგზავრებლად, რომელიც შორს, ჩრდილოეთში იმყოფება გეოლოგიურ ექსპედიციაში. გეკი ჯოხისაგან შუბს აკეთებს, რომ იმით დათვები დახოცოს ტაიგაში. ჩუკი, ჩვეულებრივ, რაღაც უცნაური ნივთების შეგროვებითაა გართული... ჩხუბი მოუვათ. ჩუკი „შუბს" გაუტეხს ძმას; გეკი ჩუკის კოლოფს მივარდება და ფანჯრიდან გადაისვრის.

დაიკარგა კოლოფი. ეს თავისთავად დიდი უბედურება არ არის, მაგრამ კოლოფში ახლად მიღებული დეპეშაა: მამა იტყობინება — ჯერ ნუ ჩამოხვალთ საქმეზე მივდივარ და როცა დავბრუნდები, შეგატყობინებთო. მაგრამ ბავშვებმა ხომ არ იციან დეპეშის შინაარსი. „დიდი ამბავი, დეპეშა დაიკარგა! უდეპეშოდაც მხიარულად ვართ, — შენიშნავს ჩუკი, — მოდი და სულაც ნუ ვეტყვით დედას". გეკს ძმის გაიძვერობა ჭკუაში არ მოსდის. ტყუილის თქმა როგორ შეიძლება! „ჩვენც ნუ ვიტყვით ტყუილს, — გამოსავალს პოულობს ჩუკი, — თუ გვკითხავს დედა, ვუთხრათ; არა და, ჩვენც რა თავი გვტკივა, რომ არამკითხესავით გამოვვარდეთ".

გადაწყდა, რომ დედას თვითონ არაფერს ეტყვიან. ამას მოჰყვება მატარებლით გამგზავრება ჩრდილოეთისაკენ, პატარა უსიამოვნება თხასთან, მოგზაურობა ტაიგაში, შესანიშნავი ბუნება, მხიარული თავგადასავალი... და დასასრულ საახალწლო ზეიმი. მთელი ფილმი ცოცხალი, რეალისტური, მიმზიდველი და დამაჯერებელია.

ვახტანგ ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ვიკითხოთ

## „დიდი რუსი მხედართმთავრები“

ჩვენი დიადი სამშობლოს თანასწორუფლებიან მოძმე ხალხთა შორის უფროსძმად ერთსულოვნად მიჩნეულია და ერთხმად აღიარებულია დიდი რუსი ხალხი, რომლის ხელმძღვანელობით ცარიზმის მიერ დაჩაგრულმა და დამონებულმა ხალხებმა შესძლეს გაერთიანება, მონობის უღლის დამსხვრევა, ექსპლოატატორული კლასების ბატონობის მოსპობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფო რუსი ხალხის წინამძღოლობით მიდის წინ კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისკენ.



დიდ რუს ხალხს ისტორიამ მიაკუთვნა კაცობრიობის მესაჭეობა. ეს საპატიო უფლება მან მოიპოვა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლითა და შრომით. საუკუნეთა მანძილზე ის გმირულად და შეუპოვრად იბრძოდა სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლებში რუსმა ხალხმა გამოიჩინა სწორუპოვარი გმირობა, შეუდრეკელი ნებისყოფა, სამშობლოსადმი თავდადება. მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში იწრთობოდნენ რუსი მეომრები, მხედართმთავრულ ოსტატობას იძენდნენ რუსი სარდლები. მათ სახელს დიდის პატივით ახსენებს მადლიერი შთამომავლობა.

1941 წლის 7 ნოემბერს, როცა მტერი ჩვენს მამულში იდგა და დედაქალაქის აღებას ლამობდა, დიდმა სტალინმა ჩვენს მეომრებს ასე მიმართა: „დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!“

დიდი ბელადის მოწოდება და წინაპართა მამაცური სახეები აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა არმიას.

ზემოთ აღნიშნული რუსი სარდლების ცხოვრებაა აღწერილი აკაკი სურგულაძის წიგნში: „დიდი რუსი მხედართმთავრები“, რომელიც ახლახან გამოსცა „საბლიტგამმა“.

წიგნი დაწერილია საკითხის ღრმა ცოდნითა და დიდი სიყვარულით. ავტორი სადად და გასაგებად მოგვითხრობს რუსი მხედართმთავრების საგმირო საქმეებს.

პირველ ნარკვევში მოცემულია გამოჩენილი რუსი მხედართმთავრის, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, ბრწყინვალე პოლიტიკოსის ალექსანდრე ნეველის (1220—1263) ცხოვრება. ავტორი სრულად წარმოგვიდგენს მის სახეს. ნეველის ხელმძღვანელობით რუსმა ხალხმა გაუძლო განსაცდელს, გამოიჩინა შინაგანი სიმტკიცე და მთლიანობა, მოიგერია და სასტიკად დაამარცხა იმ დროს ევროპაში სახელგანთქმული მეომრები — შვედი და გერმანელი რაინდები. ალ. ნეველმა 1240 წელს ნევასთან დაამარცხა შვედები და დიდი ხნით დაუკარგა მათ რუსთა მიწაწყლის მიტაცების სურვილი. 1242 წელს მან ჩუდის ტბასთან დიდი მარცხი აგემა გერმანელებს. ამ გამარჯვებებმა ალ. ნეველს სწორუპოვარი გმირის სახელი მოუხვეჭეს.

დიდი ინტერესით იკითხება ნარკვევი დიმიტრი დონელის (1350—1389) შესახებ. ავტორი ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ დაამარცხა დიმიტრიმ მოსკოვის სამთავროს მოქიშპენი და როგორ დარაზმა რუსი ხალხი თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად. დიმიტრი დონელმა კულიკოვოს ველზე დაამარცხა მონღოლთა მრავალათასიანი ლაშქარი და რუსული სამხედრო ხელოვნების სიდიადე გამოავლინა.

მძიმე განსაცდელში იყო რუსეთი მე-17 საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ამ დროს მის წინააღმდეგ აღდგნენ პოლონელი პანები, შვედი ფეოდალები, ყირიმელი თათრები. რუსეთი საფრთხის წინაშე იდგა. და აი, სამშობლოს დასაცავად აღსდგა ხალხი, შეიქმნა სახალხო ლაშქარი, რომელსაც სამართლიანი საქმე აღაფრთოვანებდა. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ სახალხო ლაშქარს სათავეში ჩაუდგნენ კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი. გაჩაღდა სამამულო ომი. ხალხმა დაამარცხა ევროპაში სახელმოხვეჭილი ლაშქარი ბოდკევიჩისა. მინინმა და პოჟარსკიმ პირნათლად მოიხადეს თავიანთი მამულიშვილური მოვალეობა, რისხვად მოევლინენ მტერს.

განსაკუთრებული სიყვარულითაა დაწერილი ნარკვევი მსოფლიო მასშტაბის მხედართმთავრის, სწორუპოვარი სტრატეგიისა და სამხედრო ხელოვნების ნოვატორის ალექსანდრე სუვოროვის (1730 1800) შესახებ. სუვოროვმა მოიგო ყველა ბრძოლა და რუსეთის სამხედრო ხელოვნება აიყვანა უმაღლეს საფეხურზე. წიგნში ვრცლადაა აღწერილი სუვოროვის ბრძოლა თურქებთან, პოლონელებთან, ფრანგებთან. დეტალურადაა გადმოცემული იტალიასა და შვეიცარიაში ლაშქრობის ამბები. ამ ლაშქრობით სუვოროვმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა რუსეთის არმიის უპირატესობა დასავლეთ ევროპის არმიების წინაშე და სიახლე შეიტანა სამხედრო ხელოვნებაში.

ფრიად საინტერესოა ნარკვევი ნაპოლეონის არმიის დამმარცხებლის, გამოჩენილი მხედართმთავრის მიხეილ კუტუზოვის (1745—1813) შესახებ. კუტუზოვმა თავი ისახელა პოლონელებთან და თურქებთან ომის დროს, მაგრამ ბრძოლა ნაპოლეონის წინააღმდეგ მისი სამხედრო ოსტატობის მწვერვალი იყო. წინამდებარე წიგნის ავტორი ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამამულო ომს და დიდ ადგილს უთმობს მას.

მიხეილ კუტუზოვის დამსახურების ნამდვილი დაფასება მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში მოხდა.

კუტუზოვის სახელოვანი ტრადიციები შეისისხლხორცა საბჭოთა არმიამ.

წიგნში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ის, რაც საუკეთესო იყო რევოლუციამდელი რუსეთის სამხედრო წყობისა და აღზრდის სისტემაში, მემკვიდრეობით მიიღო და განავითარა საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ, რომელიც დიდი სტალინის სახელთანაა დაკავშირებული. დიდმა სტალინმა განავითარა და წინ წასწია მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება.

წიგნი „დიდი რუსი მხედართმთავრები“ კარგი საჩუქარია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის.

ლევან მენაბდე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით გაჩეჩილაძე — „მზვერავი კიმ ენ ვანი“

სამი წლის განმავლობაში თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი გმირულად იბრძოდა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ამერიკელმა იმპერიალისტებმა დიდი მსხვერპლის მიუხედავად ვერ შესძლეს დაემონებინათ კორეელი მშრომელები. კორეის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას, პარტიზანებს დიდ დახმარებას უწევდა მთელი მოსახლეობა, მათ შორის ბავშვებიც.

პოეტმა დავით გაჩეჩილაძემ თავის ახლახან გამოცემულ ბალადებისა და პოემების წიგნში დაბეჭდა შესანიშნავი საბავშვო პოემა „მზვერავი კიმ ენ ვანი“, რომელიც მოგვითხრობს კორეელი პარტიზანელი ბიჭის თავგადასავალს. 11 წლის კიმ ენ ვანმა ერთ დღეს, როდესაც შინ დაბრუნდა საძოვრად წაყვანილი ნახირით, შემაძრწუნებელი სურათი ნახა — მთელი სოფელი ხანძრის ალში იყო გახვეული. პატარა ბიჭუნას დედა და და-ძმა დახოცილები დახვდა. დიდხანს იგლოვა კიმ ენ ვანმა ისინი და გადაწყვიტა შური ეძია მტერზე. იგი შეხვდება პარტიზანულ რაზმს, სადაც მას გულთბილად ღებულობენ. პატარა ბიჭი პარტიზანულ რაზმში მეტად სახიფათო დავალებებს ასრულებს — იგი მზვერავია. მისი დახმარებით პარტიზანები წარმატებით ანადგურებენ მტერს.

დ. გაჩეჩილაძე პატარა კიმ ენ ვანს გვიხატავს როგორც სამშობლოსათვის თავდადებულ შვილს, იგი იმპერიალისტ ყაჩაღების მიმართ უსაზღვრო სიძულვილით არის ანთებული. მთელი მისი მოქმედება, ფიქრები და აზრები მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს თავის ხალხს, თავის სამშობლოს. ამაღელვებელია უცხოელ დამპყრობთა მიერ პატარა გმირის შეპყრობის სურათი. ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს კიმ ენ ვანს დაიჭერენ და დასაკითხავად მიიყვანენ ამერიკელ პოლკოვნიკთან. მტრის ვერავითარი ხრიკი, მოტყუება და საშინელი წამება ვერ გასტეხს პატარა პარტიზანს. ჯალათებს სურთ გაიგონ ვინ გამოგზავნა იგი, მაგრამ დიდია კიმ ენ ვანის მტრისადმი სიძულვილი:



«თქვენ გმართებთ სისხლი ალალი
ჩემი დედ-მამის, და-ძმის
და ახლა გინდათ გაქლიტოთ
პარტიზანელთა რაზმიც?
ჰე, ვერ მოგართვით, ბიძია...
კიმი ვაჟკაცი გახლავთ».

ასე ფიქრობს სამშობლოს ერთგული შვილი და სიკვდილს უშიშრად და ამაყად უყურებს თვალებში. ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს კიმ ენ ვანის დახვრეტის სურათი, არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო ეს ადგილი. ავტორს არ დაუშურებია მხატვრული ფერები ამ დრამატული მომენტის აღწერისათვის.

მკითხველი ისეთი სიყვარულით იმსჭვალება პოემის გმირისადმი, რომ მას არ სურს დაიჯეროს, რომ ჯალათები პატარა კიმ ენ ვანს სიცოცხლეს მოუსწრაფებენ. იგი მოელის, რომ ნორჩი პარტიზანი მიუხედავად ასეთი გამოუვალი მდგომარეობისა, მაინც გადარჩება. პოეტის ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი აყვარებს თავის გმირს მკითხველს, ბუნებრივად, ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე გადმოგვცემს ნორჩი პარტიზანის გადარჩენის ამბავს. ოპტიმისტური ფინალი უეჭველად პოემის დიდი წარმატებაა.

პოემა „მზვერავი კიმ ენ ვანი“ ხასიათდება თხრობის დახვეწილობით. მასში შესანიშნავად არის გადმოცემული, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა, ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა, პატრიოტიზმი პატარა ბავშვსაც კი გმირად ხდის.

წიგნში დაბეჭდილია სხვა ნაწარმოებებიც. მათ შორის ყურადღებას იპყრობს პოემა „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. პოეტი ბავშვებს გიას და მზიას მაგალითზე უჩვენებს, თუ როგორ ცუდია ტყუილის თქმა, რომ მას მხოლოდ ბოროტება და შერცხვენა მოაქვს.

ოსტატურად არის თარგმნილი პოეტის მიერ ს. მარშაკის „ხანძარი“ და ს. მიხალკოვის „გატეხილი ვაზა“.

წიგნი „მზვერავი კიმ ენ ვანი“ კარგი საჩუქარია ბავშვებისათვის.

შოთა გაგოშიძე

## ახალი წიგნები

„საბლიტგამმა“ გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები:

✱ **მათე ალექსიშვილი — „აი რას ამბობს ისტორია“.** მათე ალექსიშვილის წიგნი მკითხველს საშუალებას აძლევს ნათლად წარმოიდგინოს მონების მძიმე მდგომარეობა, როცა მათ ქალიშვილებს მარილზე ცვლიდნენ, აუქციონზე ყიდდნენ, ხოცავდნენ და ზოოპარკის მხეცებს კვებავდნენ მათი ხორცით, მხეცებს აგლეჯინებდნენ რომის არისტოკრატიის გასართობად და სხვ. წიგნი განკუთვნილია უფროსი ასაკისა და მასიური მკითხველისათვის. წიგნის რედაქტორია პ. რატიანი, შეიცავს 414 გვერდს და ღირს 9 მან. და 10 კაპ.

✱ **აკაკი ბელიაშვილი — „ახალგაზრდები“.** ა. ბელიაშვილის წიგნი ორი მოთხრობისაგან შესდგება: „ახალგაზრდები“ და „მოგზაურობა სვანეთში“. წიგნი განკუთვნილია საშუალო და უფროსი ასაკისათვის. წიგნის რედაქტორია დ. შენგელაია. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ირ. რაზმაძეს. შეიცავს 191 გვერდს და ღირს 3 მან. 30 კაპ.

✱ **ვახტანგ ბარათაშვილი — „საბჭოთა მეზღვაურის ჩანაწერები“.** შორეული ცურვის კაპიტანი ვ. ბარათაშვილი საინტერესოდ აგვიწერს მოსახლეობის მძიმე ცხოვრებას კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც თვითონ უნახავს და განუცდია. რამდენიმე ნაწყვეტი აღნიშნული წიგნიდან დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერში“ 1952 წელს. წიგნის რედაქტორია გ. ზარდალიშვილი, მხატვრობა ეკუთვნის გ. დიკს. შეიცავს 166 გვერდს და ღირს 6 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## პიონერების თაოსნობა

გრომუშკინის სკოლა ქალაქ მიჩურინსკის მახლობლად მდებარეობს. მიჩურინსკის განაპირას დიდი ბაღებია. ამ ბაღებში მეცნიერი მებაღეები მიჩურინის საქმეს განაგრძობენ. გრომუშკინელი პიონერები არაერთხელ ყოფილან სტუმრად ამ ბაღებში. პიონერებს განსაკუთრებით მოსწონთ ყველაზე დიდი ბაღი № 7. მე-7 ბაღში მიჩურინისა და მისი მოწაფეების მიერ გამოყვანილი ხეხილის 25 ჯიში იზრდება. ამ ჯიშთა. ნერგები იგზავნება სახელმწიფო და საკოლმეურნეო სანერგეებში, რომლებიც თავის მხრივ ავრცელებენ მათ.

მაგრამ გრომუშკინელ პიონერებს ამ გაზაფხულზე ყველაზე უფრო მეტად თხილის ჯიშები აინტერესებდათ. ისინი შეუთანხმდნენ თავიანთი კოლმეურნეობის გამგეობას, მიიღეს ნებართვა მთელ ჰექტარზე გაეშენებინათ თხილი, რისთვისაც მიჩურინსკს ეწვივნენ. მიჩურინსკში თხილის მთელი ბაღებია. ბავშვებმა დაათვალიერეს თხილის სხვადასხვა ჯიშები, დაწვრილებით გამოკითხეს მეცნიერ მებაღეებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას დარგული და გამრავლებული თხილის კალამი, როგორ უნდა მოუარონ თხილის ნერგებს.

პიონერები დაბრუნდნენ თავიანთ კოლმეურნეობაში და პრაქტიკულად შეუდგნენ გეგმის განხორციელებას; ერთი ჰექტარი ფართობი, რომელიც წინასწარ ტრაქტორით იქნა მოხნული, კვლებად დაანაწილეს და კვლებში თანაბარ მანძილზე ორმოები ამოთხარეს. ორმოები მომზადებულ იქნა შემდეგნაირად: მიწის ზედა ფენას, რომელიც ნაყოფიერია, ბავშვები ცალკე ჰყრიდნენ, ქვედა ფენას კი — ცალკე. ნერგების დარგვისას ნაყოფიერი მიწა, და აგრეთვე სასუქი ორმოს ფსკერზე მოაქციეს, ხოლო ქვედა — უნაყოფო ფენა ზევიდან დააყარეს.

თხილის 650-ვე ნერგმა გაიხარა. პიონერები თავს დასტრიალებენ თავიანთ ნაამაგარს. კასრებით ზიდავენ წყალსა და ქიქას და ყოველ ნარგავს ცალ-ცალკე რწყავენ.

იხარეს თხილის ნერგებმა. კოხტად დარაზმულან მწვანე ბუჩქები, კმაყოფილებით ილიმებიან გრომუშკინელი კოლმეურნენი და იმედოვნებენ, რომ რამდენიმე წელიწადში, თუ პიონერები ბაღს კვლავაც არ მოაკლებენ მზრუნველობას, თითოეული ნერგი ათ კილოგრამამდე თხილს მისცემს კოლმეურნეობას.



## ხრახნული ტრანსპორტიორი

სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს მშენებლებს ყოველთვის უხდებათ ფხვიერი მასალების გადატვირთვა, როგორიცაა მაგალითად ცემენტი, კირი, ალებასტრი, ქვიშა. ასეთივე გადატვირთვას საჭიროებს აგრეთვე ბეტონი და სხვა სამშენებლო მასალები.

ამ სამუშაოთა ხელით შესრულებას სჭირდება დიდი დრო და შრომა, მაგრამ რაც მთავარია, ამ დროს ადგილი აქვს სამშენებლო მასალათა მნიშვნელოვან დანაკარგს.

საბჭოთა ინჟინერმა ვ. გ. დიდიკმა დაამზადა ეგრეთწოდებული ხრახნული ტრანსპორტიორი. იგი შედგება 6—8 მეტრის სიგრძის მილისაგან. მილში მოთავსებულია ხრახნისმაგვარად დახვეული ფოლადის მავთული, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ელექტროძრავს. ხრახნის ბოლოს ჩაჰყოფენ ცემენტის ან ბეტონის მასაში; ხრახნი ტრიალებს და მილისკენ ითრევს მასალას.

ხრახნული ტრანსპორტიორი მუშაობს როგორც ჰორიზონტალური ისე ვერტიკალური მიმართულებით.

## ხელოვნური ბოჭკო

ქსოვილების დასამზადებლად იხმარება სხვადასხვა სახის ბოჭკოვანი მასალისაგან დართული ძაფი. XIX საუკუნის მიწურულამდე ხმარებაში იყო მხოლოდ ბუნებრივი ბოჭკოვანი მასალები, როგორც ცხოველური (მატყლი, აბრეშუმი) აგრეთვე მცენარეული (ბამბა, სელი, ჯუტი, რამი და სხვა) წარმოებისა.

1884 წელს გამოგონილ იქნა ხელოვნური ბოჭკო, რითაც საფეიქრო მრეწველობაში ახალი ერა დაიწყო. დღეს ხელოვნურ ბოჭკოს უკვე ფართო სამრეწველო გამოყენება აქვს.

ხელოვნური ბოჭკოს მრავალი სახესხვაობიდან აღსანიშნავია ვისკოზური ბოჭკო, ნაილონი და მინის ბოჭკო.

ვისკოზური ბოჭკო მზადდება ხისაგან, რომელსაც ქიმიური ნივთიერებების ზეგავლენით მოყვითალო, სქელ მასად აქცევენ. ამ მასას ეწოდება ვისკოზა. მას ატარებენ წვრილ ნახვრეტებიან ფირფიტაში, საიდანაც ვისკოზა წმინდა ძაფების სახით გამოედინება. ეს ძაფი მალე მყარდება, რის შემდეგ მათ რეცხავენ, ღებავენ, აშრობენ და ახარისხებენ.

ასე მზადდება ვისკოზური ტიპის ყველა ბოჭკო: ხელოვნური აბრეშუმი, ვისტრა ანუ შტაპელური ბოჭკო, ხელოვნური ძუა; ხელოვნური ჩალა და სხვ. ვისკოზური ბოჭკოს ჩამოთვლილი სახეები მხოლოდ გარეგნულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; მაგალითად ხელოვნური აბრეშუმი და ხელოვნური ძუა მხოლოდ ძაფის სიმსხოთი განირჩევიან ერთმანეთისაგან, პირველის დიამეტრი მილიმეტრის მეასედს არ აღემატება, მეორისა კი ერთ მილიმეტრამდე აღწევს; ხელოვნური ჩალა გარეგნულად ქერის ღეროს წააგავს; შტაპელური ბოჭკოს მისაღებად საკმარისია ხელოვნური აბრეშუმის ძაფი მოკლე (10—12 სმ.) ბოჭკოებად (შტაპელებად) დავჭრათ და მიღებული ბამბისმაგვარი მასიდან ხელახლა დავართათ ძაფი.

ნაილონი თავისი ქიმიური შემადგენლობით უფრო ცხოველური წარმოშობის ბოჭკოს წააგავს. მისი ძაფი ისევ წვრილნახვრეტებიან ფირფიტაში გატარებით მიიღება. ნაილონის ბოჭკოს ბევრი დადებითი თვისება აქვს: იგი ელასტიურია, მაგარია, ძალზე წვრილია. იღებება იმავე საღებავებით, რითაც ცხოველური წარმოშობის ბოჭკო, მჟავა და ტუტე მასზე ნაკლებად მოქმედობს და წვის დროს კი არ აალდება, არამედ იფერფლება მატყლისა და აბრეშუმის მსგავსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი იხმარება ბუნებრივი აბრეშუმის შემცვლელად, წინდების, ნოხების, ხავერდის და სპეციალური ქსოვილების დასამზადებლად. საბჭოთა კავშირში ამზადებენ ნაილონის ტიპის მაღალხარისხოვან ბოჭკოს—კაპრონს.

მინის ბოჭკო მზადდება გამდნარი მინის წვრილნახვრეტებიან ფირფიტაში გატარებით. მისი დამზადება დაიწყეს მას შემდეგ რაც გამოირკვა, რომ მინის ძლიერ წვრილი ძაფი კარგავს მსხვრევადობას და საფეიქრო ბოჭკოს თვისებებს იძენს. მინის ბოჭკო ყველა სხვა სახის ბოჭკოზე უფრო მაგარია (გარდა ლითონის ბოჭკოსი), გლუვი და პრიალა ზედაპირი აქვს, ცეცხლგამძლეა, სითბოსა და ელექტრონს არ ატარებს, წყლისა და მჟავას მიმართ მეტად გამძლეა. მინის ბოჭკომ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და ფართო სამრეწველო გამოყენება აქვს. ამ ბოლო დროს მისგან ვიოლინოს სიმებსაც კი ამზადებენ.




მეტად საინტერესოა კიდევ ერთი სახის ხელოვნური ბოჭკო, რომელსაც კაზეინის ბოჭკო ეწოდება. იგი მიიღება ჩვეულებრივი რძის სპეციალური გადამუშავების შედეგად. კაზეინის ძაფს — რომელსაც ზემოთ აღწერილი წესით ამოახვევენ — მოკლე შტაპელებად ჭრიან და მატყლში ურევენ. მისგან დამზადებული ქსოვილი გარეგნულად არ განსხვავდება მატყლის ქსოვილისაგან და ადვილად არა ხუნდება. მისი უარყოფითი მხარეა წყლისადმი შედარებით ნაკლები მდეგობა.

## ბუმბერაზი კვიპაროსი

მექსიკაში, სოფელ ოქსაკაში არის 2000 წლის კვიპაროსი. მისი სიმაღლე 150 მეტრს უდრის, ხოლო ხის ძირის წრეხაზი 30 მეტრს. მაშინაც კი, როცა მზე ზენიტშია, კვიპაროსის ჩრდილი 2000 კვადრ. მეტრის ფართობს ჰფენს ჩრდილს, ამ ხე — «პატრიარქს» მექსიკელმა პოეტებმა ლექსებისა და პოემების მთელი კრებულები უძღვნეს.



## ახალი მიწისმთხრელი გიგანტი

გასაყვანი არხის ფსკერზე არაჩვეულებრივი მანქანა მოძრაობს, იგი თავისი მუშაობის ხასიათით ძალზე წააგავს სკრეპერს, მაგრამ ამავე დროს დიდად განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან. სკრეპერის მიერ დამუშავებული, მოთხრილი მიწა გროვდება ფოლადის კორპუსში და როდესაც პირთამდე აივსება, მანქანა გრუნტს ყრის. სკრეპერის მუშაობის ციკლი წყვეტადია: ჯერ მიწის დაგროვება, მერე მისი გადატანა, გადატვირთვა და ისევ სამუშაო ადგილზე დაბრუნება. ახალი მანქანა კი განუწყვეტლივ მუშაობს; არხის ფსკერიდან თხრის მიწას, ეს უკანასკნელი გადადის ლენტურ ტრანსპორტიორზე და 45 მეტრის მოშორებით იყრება.

ახალი მანქანა, რომელსაც გრძელი, ინჟინრული სახელი შეარქვეს, («დიაგონალური გრეიდერ-ელევატორი «დ—264») საბჭოთა ტექნიკის დიდ მიღწევას წარმოადგენს. ახალი მიწისმთხრელი გიგანტი თავისი შრომისნაყოფიერებით ჭარბობს საბჭოთა მშენებლობებზე მომუშავე ყველა მანქანას, თვით «მოსიარულე ექსკავატორსაც» კი. იგი საათში 2.000 კუბურ მეტრ გრუნტს ამუშავებს.

## ა ს ა ნ თ ი

ძნელია დაასახელო იმაზე უფრო ფართოდ გავრცელებული საგანი, როგორიც ასანთია. იგი ყველას უნახავს და დღეში რამდენჯერმე აუნთია. მაგრამ ძალიან ცოტანი დაფიქრებულან იმაზე, თუ როგორ მზადდება ასანთი, რომელიც მარტო საბჭოთა კავშირში ათეულ მილიონობით იხარჯება.

სწორედ ამიტომაა, რომ ასანთის დასამზადებლად შექმნილია ისეთი დიდი, ავტომატურად მოქმედი მანქანები, რომელთაგან თითოეული თხუთმეტ ტონას იწონის და ერთ საათში ორ მილიონამდე ასანთის ღერს ამზადებს.

ახლა ვნახოთ როგორ მზადდება ასანთის ღერი:

თქვენ რომ ასანთის ღერის მსგავსი ჩხირი გათალოთ და მას ცეცხლი მოუკიდოთ, იგი მალე ჩაქრება, ასანთის ღერს კი ალი კარგად ედება. ეს იმიტომ, რომ იგი გაჟღენთილია სპეციალური სითხით.

თქვენს მიერ დამზადებულ ჩხირს რომ ის ნივთიერება წაუსვათ, რომლიდანაც ასანთის თავია დამზადებული, და ასანთი გაჰკრათ, ასანთის თავი დაიწვება, ღერზე კი ცეცხლი არ გადავა. ეს იმიტომ, რომ ასანთის აალებადი თავის ქვეშ სპეციალური ნივთიერების — პარაფინის — წასმაა საჭირო, რათა ცეცხლი ღეროზეც გადავიდეს.

ასანთის რამდენიმე ღერი რომ ერთად ამოავლოთ აალებად მასაში, ისინი ერთმანეთს შეეწებებიან (თქვენ ალბათ გინახავთ ტყუპი ასანთი — იგი წუნია), ამიტომ საჭიროა ასანთის ყოველი ღერის ცალ-ცალკე ამოვლება, გაჟღენთა, დაპარაფინება. ასანთის მკეთებელ მანქანას სწორედ იმდენი დამკავებელი „ხელი" აქვს, რამდენ ღერსაც ამზადებს. თუ ასანთის ბოლოს დააკვირდებით, პატარა ნაჭდევს შეამჩნევთ (თითქოს ოთხკუთხედი ღერო გაუმრგვალებიათო). ეს მანქანის „ხელისნაკიდები" ადგილია.

ამრიგად, ასანთის დამზადება არც ისე ადვილი ყოფილა: ხე უნდა დაიჭრას. პატარა ღეროებად (ამას ორი სხვადასხვა მანქანა ასრულებს), შემდეგ უნდა გაიჟღინთოს ისეთი სითხით, რომელიც ასანთის წვას ხელს შეუწყობს, უნდა გაშრეს, უნდა დაპარაფინდეს, აალებადი თავი გაუკეთდეს, ხელახლა გაშრეს და კოლოფებში ჩაიწყოს. აღარაფერს ვამბობთ იმ ოპერაციებზე, რომლებიც საჭიროა კოლოფის დასამზადებლად. იგი არანაკლებ რთულია, ვიდრე თვით ასანთის დამზადება. ხის მასალაც თითქმის იმდენივე სჭირდება, რაც ერთ კოლოფში მოთავსებული ასანთის ღერების დამზადებას.

ძნელი წარმოსადგენია ასანთის რა დიდ ნაკლოვანებას ვიგრძნობდით, მისი წარმოება მთლიანად მექანიზებული რომ არ იყოს.




# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

დიადი, ბრძენი, მზრუნველი... (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . . 2

ტ. ბელოვა—ისტორიული ყრილობა (წერილი) . . . . . . . . . . . . . . 3

მაყვალა მრევლიშვილი—ბანაკში (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . . . 5

მურმან ლებანიძე—გრიცკო (მოთხრობა, დასასრული) . . . . . . . . . . . 6

ჩ ვ ე ნ ი  რ კ ი ნ ი გ ზ ა—რუსი პოეტების: ნ. გუდოვსკის, ა. სურკოვის, ე. დოლმატოვსკის, ი. ფრენკელის და ტ. სიკორსკაიას ლექსები. (თარგმნა ი. ნონეშვილმა) . . . . . . . 13

ერ. ქარელიშვილი—დიდი რუსი მოაზროვნე და რევოლუციონერი (წერილი) . . . . . . . . 16

ვ. ოსეევა—ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (მოთხრობა, თარგმნა ელ. გოგოლაშვილმა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 18

ქ. გოგიაშვილი—პიონერული ზაფხული (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 24

ანდრო ლომიძე—ერთი დღე ანტარქტიკაში (მეზღვაურის ნაამბობი) . . . . . . . . 25

ვახტანგ ჭელიძე—„ჩუკი და გეკი“ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . 27

ლევან მენაბდე—„დიდი რუსი მხედართმთავრები“ (წერილი) . . . . . . . . . 28

შოთა გაგოშიძე—დავით გაჩეჩილაძე—„მზვერავი კიმ ენ ვანი“ (წერილი) . . . . . . . . 29

ა ხ ა ლ ი  წ ი გ ნ ე ბ ი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 29

მოკლედ ყველაფერზე: 1. ხრახნული ტრანსპორტიორი, 2. პიონერების თაოსნობა, 3. ხელოვნური ბოჭკო, 4. ბუმბერაზი კვიპაროსი, 5. ახალი მიწისმთხრელი გიგანტი, 6. ასანთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 30

მუხრან მაჭავარიანი—ბარათი ზღვიდან (ლექსი) . . . . . . . . . . გარეკ. მე- 2

ჭ ა დ რ ა კ ი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკ. მე—3

პ ა ს უ ხ ი  გ ა ს ა რ თ ო ბ ზ ე . . . . . . . . . . . . . . . „ „ 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ უჩა ჯაფარიძეს, გარეკანის მეოთხე გვერდის მხატვრობა—მხატვარ გ. როინიშვილს.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: უჩა ჯაფარიძის, გ. ფოცხიშვილის, გ. თოთიბაძის, დ. ხახუტაშვილის, ვ. ბელეცკაიას, კ. მახარაძისა და გ. როინიშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი  შ ე მ ო ს უ ლ ი  მ ა ს ა ლ ე ბ ი  ა ვ ტ ო რ ე ბ ს  ა რ  უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Август, № 8, 1953.
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უე 05994 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 289 სტამბის შეკვ. № 875. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

# ჭადრაკი

ოსტატობის კანდიდატ თ. გიორგაძის რედაქციით

## გამსვლელი პაიკი

ჭადრაკის თეორიაში გამსვლელი პაიკი ეწოდება ისეთ პაიკს, რომელიც გადალახავს რა საზღვარს (თეთრებისათვის მე-4, ხოლო შავებისათვის მე-5 ჰორიზონტალს) მიისწრაფის ლაზიერში გასვლას. თამაშის მსვლელობისას შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმე გამსვლელი პაიკი.

გამსვლელი პაიკი უმეტეს შემთხვევაში წარმოიშობა თამაშის შუა და ბოლო სტადიებში. გამსვლელი პაიკის არსებობა თამაშს თავისებურ ხასიათს აძლევს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ასეთი პაიკი, რაც უფრო უახლოვდება ფიგურის გაცოცხლების უჯრას, მით უფრო შესამჩნევად იზრდება მის ახლო მდებარე უჯრების მნიშვნელობა. გამსვლელ პაიკს, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, წინ სწრაფვის შინაგანი ენერგია გააჩნია. ამიტომ ის მხარე, რომელსაც გამსვლელი პაიკი აქვს, არ ერიდება მატერიალური მსხვერპლის გაღებას, რათა პაიკი გადააქციოს სასურველ ფიგურად.

გამსვლელი პაიკების მოტივებზეა აგებული არაერთი შესანიშნავი კომბინაციური იდეა. თვითონ გამსვლელი პაიკის თავისებურება — ლაზიერად ან რომელიმე ფიგურად გადაქცევა—წარმოადგენს სხვადასხვა ტაქტიკური ოპერაციისათვის საუცხოო თემას. გამსვლელი პაიკების იდეაზე შედგენილია მრავალი ლამაზი ეტიუდი და ამოცანა, რომელთა ცოდნა მოჭადრაკე—პრაქტიკოსს დიდ დახმარებას უწევს საპასუხისმგებლო პარტიების თამაშის დროს. გამსვლელი პაიკის მოტივებზე უბადლო ოსტატობით ეტიუდებს ადგენდა ცნობილი რუსი ეტიუდისტი ნ. გრიგორიევი.

მოგვყავს პრაქტიკული პარტიებიდან ამოღებული პოზიციები:

განვიხილოთ პოზიციის კომბინაციური გადაწყვეტა გამსვლელი პაიკის ლაზიერში გაყვანით:



1. კa7+! (ამ მდგომარეობაში კრიტიკული უჯრაა a7. სვლა კუთი ძნელი შესამჩნევია) ე:a7 (თუ 1.... მფ:a7, მაშინ ხბლ×) 2. ე:a7 მოგებით.

მაგრამ როდია ყოველთვის სავალდებულო პაიკის ლაზიერში გაყვანა, ზოგჯერ მიზანშეწონილია სხვა ფიგურის გაცოცხლება, მაგალითად:



აქ თამაში ლაზიერისა და ეტლის შეწირვით შავების სასარგებლოთ წყდება: 1. ... ეe1+! 2. ე:e1 ლ:g2+! 3. მფ:g2 e1მ+!! 4. მფf2 მ:c2 მოგებით.

# თავსატეხი



რიცხვები 5, 10, 15, 20, 25, 30, 35, 40, 45, 50 განალაგეთ წრეხაზზე ისე, რომ თითოეულ კვადრატში, ასევე თითოეულ წრეში და წყვეტილით აღნიშნულ ღერძის ხაზზე მიიღოთ ჯამი 100.

შეადგინა ნ. პეკელისმა



გაავლეთ ოთხი სწორი ხაზი ისე, რომ მოცემული კვადრატი გაიყოს ცხრა ნებისმიერ ნაწილად და თითოეულში მოთავსდეს მხოლოდ ოთხი ყვავილი.

შეადგინა ქ. ქუთალაძემ



ფასი 2 მან.

ი 256/262

ეროვნული ბიბლიოთეკა